ოფიციალური თბილისური მოძრაობა A3

ნაციონალური თბილისური მოძრაობა A3

ფოტოკონკურსი B4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 27 ოქტომბერი, 2002 წელი. №147

ფასი 50 თეთრი

სამართალი

გაუგებრობას გადაყოლებული მეგობრის სიცოცხლე

გაბრაზებულ მოდებაძეს მანქანიში დანა უპოვია და ჭილლაძისთვის გულ-მკერდის არეში რამდენჯერმე ჩაურტყამს. უმწეო მდგომარეობაში დარჩენილი დაჭრილი სისხლისგან დაიცალა და ადგილზევე გარდაიცვალა. მოდებაძე და ცუცქირიზე კი გაიქცნენ.

A2

ეკონომიკა

ექსპორტის ზრდას ბიუროკრატიული ბარიერები და არახელსაყრელი საგადასახადო სისტემა აფერხებს

ცხრა თვის მონაცემებით, საქართველოს ექსპორტის ყველაზე დიდი წილი საფრენ აპარატებზე, შავი ლითონის ჯართზე, დაუმუშავებელ ან ნახევრადდამუშავებულ ოქროსა და ყურძნის ნატურალურ ღვინოზე მოდის. შარშანდელთან შედარებით, შავი ლითონის ჯართის ექსპორტი სამი პროცენტით გაიზარდა, ხოლო ნატურალური ღვინის ექსპორტი 17,3 პროცენტით შემცირდა.

A3

უცხოეთი

რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის ხათრით ყველაფერზე მიდის

კომუნისტურმა ჩინეთმა 16 წელი იბრძოლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანებისათვის და ბოლოს საწადელს მიაღწია. რუსეთი, რომელიც კარგა ხანია, აღარ არის კომუნისტური, ამას ვერაფრით ახერხებს. რა შეიძლება დათმოს ამის სანაცვლოდ "ჩრდილოელმა დათვმა"?

A3

საზოგადოება

გერჰარდ აიგნერი: "ეშმაკმა დალახვროს, გამოიჩინეთ სოლიდარობა!"

გთავაზობთ გაზეთ "24 საათის" სპორტული რედაქციის ოფიციალური პარტნიორის, გერმანული სპორტული საინფორმაციო სააგენტო "Sport Informations Dienst"-ის (sid) კორესპონდენტის რაინერ ქალბის ინტერვიუს UEFA-ს გენერალურ მდივანთან გერჰარდ აიგნერთან, რომელშიც ის ჩემპიონთა ლიგაზე, ეროვნულ ნაკრებ გუნდებსა და "გაზულუქებულ" ევროპელ ვარსკვლავებზე საუბრობს.

B2

ამინდი

თბილისი	21	🌥
ქუთაისი	24	🌥
ბათუმი	23	☁
სოხუმი	21	☁
ფოთი	23	🌥
თელავი	19	🌥
ზუგდიდი	24	🌥
გორი	17	🌥
ახმეტა	19	🌥
ქიათურა	21	🌥
გაგრა	19	☁
სამტრედია	23	🌥

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1650
ევრო	2.1163
გირვანქა სტერლინგი	3.3640
რუბლი	0.0683

შტურმი - სპონტანური თუ დაგეგმილი, წარმატებული თუ სისხლიანი?

შტურმის შედეგები.

REUTERS

ვლადიმირ პუტინი

ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა მოსკოველ კოლეგებს, რომლებიც შტურმის მომენტში თეატრალური ცენტრის უშუალო სიახლოვეს იმყოფებოდნენ და სთხოვა, ორიოდ სიტყვით გაეზიარებინათ შთაბეჭდილებები.

მიხაილ შეველიოვი
"მოსკოვსკიე ნოვოსტის"
მთავარი რედაქტორის მოადგილე

"ჯერჯერობით, ოფიციალურად 67 მძევლის დაღუპვაა აღიარებული, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს რიცხვი რეალური იყოს. პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმე სახის კონტაქტზე გასვლა თვითმხილველებთან; გათავისუფლებული მძევლები განათავსეს მოსკოვის საავადმყოფოებში და გარე სამყაროსთან ყოველგვარი კონტაქტი დაუხშვეს; შეუძლებელია ექიმებთან გასაუბრებაც. ჟურნალისტებს ბატონი ზურაბ აბაშიძე დაგვპირდა, რომ შეგვახვედრებს ერთ-ერთ მძევალ ქართველთან, მაგრამ, ჯერჯერობით, დანაპირებს ვერ ასრულებს.

ყველაფერი რომ დაგეგმილ, არასპონტანურ აქციას ჰგავდა, ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ტერორისტებს მძევლები არ დაუხვრეტიათ და შტურმი შტაბის გადაწყვეტილებით დაიწყო. ღამით ვინც ვიმყოფებოდით თეატრალურ ცენტრთან, ნათლად დავინახეთ, რომ შტურმისთვის მზადებას ჯერ კიდევ ღამის ორ საათზე შეუდგნენ - ამაზე მეტყველებდა სპეცრაზმებისა და ტექნიკის გადაადგილება, ზუსტად ამ დროს ჟურნალისტებიც შენობიდან კარგა მოშორებით გამოგვწიეს.

ერთი სიტყვით, ბევრი რამ ბნელითაა მოცული და ეჭვი მეპარება, რომ უახლოეს მომავალში შევძლებთ სრული სიმართლის გაგებას."

ლარისა იასნოგოროდსკაია
რადიო "ეხო მოსკვი"

"შტურმამდე რამდენიმე წუთით ადრე ტელეფონზე ვესაუბრებოდით ერთ-ერთ მძევალს, რომელმაც ბოლოს იმის თქმა შეძლო, რომ სუნთქვა გაჭირდა და რაღაც გაზის სუნს ვგრძნობო. ამის შემდეგ საუბარი გაწყდა, რამდენიმე წუთში კი სროლა დაიწყო."

რას არ აპატიებენ პოლკოვნიკ პუტინს

თეატრის შენობის იერიშის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ, მძევალთა დიდი ნაწილი არა ტერორისტების, არამედ რუსული სპეცრაზმის ხელით დაიღუპა.

გიორგი ხელაშვილი

ოთხშაბათ ღამით ჩეჩენი ტერორისტების მიერ მოსკოვის საკისარების ქარხნის კულტურის სახლის დაპყრობის შემდეგ, პრეზიდენტი პუტინი დილემის წინაშე აღმოჩნდა – მას ან წარმატებით უნდა გადაეჭრა პრობლემა, ან თავისი ავტორიტეტისა და ძალაუფლების შერყევას უნდა შერიგებოდა. პუტინმა გადაწყვიტა, რისკზე წასულიყო და, თუნდაც ადამიანების სიცოცხლის ფასად, კრიზისი გადაეჭრა.

ისტორიის დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, შევძლებდით იმაზე მსჯელობას, თუ რამდენად გამართლებული იყო რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება თეატრის შენობის იერიშით აღების თაობაზე. დღეს მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სპეცსამსახურების (და, ალბათ, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის) გადაწყვეტილება შტურმის შესახებ, შეიძლება, საკამათო იყოს, მაგრამ რუსეთის მთავრობას უგუნურებაში ბრალს ვერავინ დასდებს – ტერორისტების წინააღმდეგ იერიში ჟანრის კანონებს არ ეწინააღმდეგება.

კრიტიკას არც სპეცოპერაციის ტექნიკური შესრულება იმსახურებს – არ არსებობს იმის გარანტია, რომ სხვა რომელიმე ტაქტიკა, გაზით შეტევის გარდა, უფრო გაამართლებდა და მსხვერპლიც ნაკლები იქნებოდა.

ვლადიმირ პუტინის ხელისუფლების დანაშაული საკუთარი მოსახლეობის წინაშე არც იერიშის თაობაზე გადაწყვეტილებაშია და არც მისი შესრულების ტექნიკურ ხარვეზებში, არამედ სიმართლის დამალვაში. პუტინის ხელისუფლებამ ხალხს დაუმალა სიმართლე, როდესაც სპეცოპერაციას "წარმატებული" უწოდა; როდესაც კრიზისის დროს და კრიზისის შემდეგ საინფორმაციო საშუალებების თავისუფლება შეზღუდა; და როდესაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩეჩნეთის სამხედრო კამპანია არ შეწყვეტილიყო.

მოსკოვის სპეცოპერაცია "წარმატებულად" ვერ ჩაითვლება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კრიზისის მშვიდობიანად გადაწყვეტის შესაძლებლობები ამოწურული აშკარად არ იყო. საერთოდ არ დამყარებულა კონტაქტი ჩეჩნების პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, რასაც შეეძლო, კრიზისიც მშვიდობიანად მოეგვარებინა და მძევლებიც ცოცხლები გადაერჩინა. ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ არა იმაზე, რომ 700 ადამიანი გადარჩა, არამედ იმაზე, რომ ასამდე უდანაშაულო კაცი დაიღუპა. რუსეთის ხელისუფლების დაჟინებული მტკიცება სპეცოპერაციის წარმატების თაობაზე, საკუთარი ტყავის გადარჩენისთვის გაჩაღებულ რიტორიკას წააგავს: რუსეთის ხელისუფლება არ მოერიდა ყველაზე საეჭვო მეთოდსაც კი – შეზღუდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, რათა კრიტიკა თავიდან აერიდებინა.

მაგრამ ფაქტი ჯიუტია – რუსეთის მთავრობის მიერ "წარმატებული" ოპერაციის მსხვერპლნი ჯერ კიდევ ილუპებიან მოსკოვის საავადმყოფოებში, თანაც არა ტერორისტების მიერ გახსნილი ცეცხლის, არამედ საკუთარი სპეცსამსახურების ხელით გაშვებული მომწამლავი გაზების გამო. ადამიანების სიცოცხლით ამგვარი თამაში კი პუტინს, შეიძლება, ძვირ პოლიტიკურ ფასად დაუჯდეს.

მხიარული საშემოდგომო შოუ-კონცერტი მოსწავლეებისთვის

B1

ვახო ბასილიას ფოტო

მოსკოვის ტერაქტის ქრონიკა

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, სროლის პირველი ხმა თეატრალური ცენტრის შენობიდან, სადაც ტერორისტებს მძევლები ჰყავდათ აყვანილი, მოსკოვის დროით, დაახლოებით, ღამის ორ საათზე გაისმა. ცოტა ხანში შენობასთან მდებარე მოედანზე სასწრაფო დახმარების მანქანა გამოჩნდა, რომლიდანაც გამოსული ორი ექიმი შენობაში შევიდა. ათ წუთში მათ იქიდან გამოიყვანეს ორი ადამიანი და მანქანაში მოათავსეს.

03:40 რამდენიმე წუთის წინ შენობიდან აფეთქების ხმა გაისმა. შენობასთან იკრიბებიან მილიციის დამატებითი ძალები.

04:12 ტერორისტებმა BBC-ის კორესპონდენტს განუცხადეს, რომ ტერორისტებმა მოკლეს ადამიანი, რომელიც საღამოს შევიდა შენობაში და მძევალი, რომელიც ბოთლით ხელში თავს დაესხა ბოევიკ ქალებს. სროლის დროს დაიჭრა ერთი მძევალი. სწორედ მოკლულების გვამები გაიტანეს ბოევიკთა თხოვნით მისულმა ექიმებმა შენობიდან. გარდა ამისა, ტერორისტებმა აღიარეს, რომ ნაღმმტყორცნიდან გაუხსნეს ცეცხლი შენობასთან მიახლოებულ ხალხს, რადგან ისინი სპეცრაზმელები ეგონათ. სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში ტერორისტებმა განაცხადეს, რომ არც ერთ მძევალს აღარ გაათავისუფლებენ.

05:46 შტურმი დაწყებულია. მართალია, ოფიციალური წყაროები ამას არ ადასტურებენ, მაგრამ თეატრალური ცენტრის შენობიდან გახშირებული სროლისა და აფეთქებების ხმა ჟურნალისტებს აფიქრებინებს, რომ სპეცრაზმებმა შენობის შტურმით აღების ოპერაცია დაიწყეს. თუმცა, ამ დროისთვის ოფიციოზი ირწმუნება, რომ ფედერალურ ძალებს არანაირი ზომები არ მიუღიათ, ტერორისტებმა კი ორი საათის მანძილზე უკვე ორი მძევალი მოკლეს და ორიც დაჭრეს.

05:50 თეატრალური ცენტრის შენობაში ისვრიან.

06:05 შენობაში, სადაც მძევლები იმყოფებიან, სამი აფეთქება მოხდა. ცოტა ხანში გაისმა რამდენიმე გასროლის ხმა.

06:25 კიდევ ერთი აფეთქების ხმა.

06:30 შენობაში გაუთავებელი სროლაა. გამოიყვანეს რამდენიმე მძევალი.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A2 სამართალი A3 საზოგადოება A3 ეკონომიკა A4 ტერაქტი

B2 სპორტი B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

მოკლედ

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძე ჟურნალისტებთან საუბარში მოსკოვში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს აღმაშფოთებელი უწოდა და აღნიშნა, რომ ტერორიზმს არა აქვს არავითარი გამართლება და მის შედეგად, სამწუხაროდ, მხოლოდ უდანაშაულო ადამიანები ზარალდებიან.

პარლამენტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ გაკეთდა ის, რაც უნდა გაკეთებულიყო. "მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ოპერაციების განხორციელებისას, რისკი დიდია, ტერორისტებმა უნდა იცოდნენ, რომ არც ერთი მსგავსი ქმედება დაუსჯელი არ დარჩება", - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში გამართული საზეიმო კონცერტის შემდეგ განაცხადა, რომ მის კომპეტენციაში არ შედის მოსკოვის მოვლენების შეფასება, მაგრამ როგორც მას და რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს შორის გამართული სატელეფონო საუბრიდან შეიტყო, რუსეთის ხელისუფლებას "არანაირი გამოსავალი არ ჰქონდა, გარდა შტურმისა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში გამართულ რევაზ ლაღიძის მონოგრაფიის პრეზენტაციაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ ინიციატივა გამოთქვა - რევაზ ლაღიძის ჰიმნი "სამშობლო", საქართველოს ჰიმნად იქცეს.

"ხალხს არ მოსწონს ახლანდელი ჩვენი ჰიმნი. მაშინ როცა გვყავს ფალიაშვილი, ლაღიძე და სხვა უამრავი გენიალური კომპოზიტორი, ნამდვილად შეიძლება უკეთესი ჰიმნი მოიძებნოს", - განაცხადა შევარდნაძემ, რომლის აზრით, ჰიმნს მთელი ერი უნდა მღეროდეს.

"რევაზ ლაღიძემ ერთი შესანიშნავი ჰიმნი დაწერა, რომელიც ახლაც ყურებში მიდგას. მერე ერთმა ფუნქციონერმა, ისეთმა, როგორიც ადრე მე ვიყავი, უთხრა, რომ სამშობლოს მაგივრად სხვა სიტყვა უნდა ჩაწეროო. ასეთი დრო იყო. ახლა მადლობა ღმერთს, ის დრო აღარ არის და ვისაც რა უნდა, იმას წერს. იქცეს ის ჰიმნი საქართველოს ჰიმნად, იქნება წამოვიწყოთ ამაზე საუბარი", - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

პრეზიდენტის აზრით, თბილისობის დღესასწაული, რომელსაც სწორედ მისი თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი, ქვეყნის "ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და ყველაზე საჭირო დღესასწაულია". შევარდნაძემ აღნიშნა, რომ იგი კმაყოფილია დღევანდელი დღით და იმ სასიკეთო ცვლილებებით, რაც დედაქალაქში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოხდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემების თანახმად, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ქვეყანაში კვების და გადამამუშავებელი მრეწველობა ზრდის ტენდენციით ვითარდება.

სულ მოცემულ პერიოდში აღნიშნულ დარგში წარმოებული პროდუქციის ღირებულებამ 144,538 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის დონეს 4 პროცენტით აღემატება.

მოცემული ზრდის მაჩვენებლებს ძირითადად ჩაის, თამბაქოს ნაწარმის, მაკარონის, მინერალური წყლების, მცენარეული ზეთის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობებს.

რაც შეეხება ალოჰოლური სასმელების, კარაქის, თევზის, ყავისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოების მაჩვენებლებს, ოფიციალური მონაცემების თანახმად, მათი წარმოების მოცულობა გასულ წელთან შედარებით კლების ტენდენციით ხასიათდება.**ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ბაქო. აზერბაიჯანის დედაქალაქში არაოფიციალურად მოქმედი ჩეჩნური კულტურის ცენტრი “იჩქერიის წარმომადგენლობა” დაიხურა, იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი ბაქოდან. რუსეთის ელჩმა აზერბაიჯანში ნიკოლაი რიაბოვმა შაბათს პრესკონფერენციაზე მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანის მთავრობას და პირადად პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს ამ გადაწყვეტილებისათვის, რომელიც, როგორც დიპლომატმა აღნიშნა, ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ “ძალიან ოპერატიულად” იქნა მიღებული.

ნიკოლაი რიაბოვმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ჩეჩნური ცენტრი, რომელსაც იგი “მასხადოვის რეზიდენტურას” უწოდებდა, დეკლარირებული მიზნების გარდა, ფარულ მუშაობასაც ეწეოდა, მათ შორის ჩეჩენ ლტოლვილებს შორის.

მისი ინფორმაციით, ბაქოში ამჟამად 8 ათასამდე ჩეჩნეთიდან ლტოლვილი იმყოფება**. პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს მწვანეთა პარტიის მე-7 ყრილობაზე 400-მდე დელეგატმა პარტიის თავმჯდომარედ 4 წლით კვლავ გიორგი გაჩეჩილაძე აირჩია. საპატიო თავმჯდომარედ კი გივი თუმანიშვილი.

ყრილობაზე მწვანეებმა წარმოადგინეს პარტიის ახალი სახელი "მწვანეთა პარტია გიორგი გაჩეჩილაძის გუნდი" და ახალი საარჩევნო ლოზუნგი "მწვანეთა პარტია განახლებული გუნდით საქართველოს გადასარჩენად". ასევე მწვანეებმა აირჩიეს ახალი ჰიმნი და ძირითადად ახალგაზრდებით პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრთა რიცხვი 15-მდე გაზარდეს. პოლიტიკური კომიტეტი მანამდე 7 წევრისაგან შედგებოდა.

აღსანიშნავია, რომ ყრილობაზე დელეგატები ირჩევდნენ ასევე საქართველოს "საპატიო მჩეხველს". ამ ტიტულს და იმას, თუ რომელ პარტიასთან ისურვებდნენ პოლიტიკურ ალიანსს, დელეგატები მოგვიანებით გამოაქვეყნებენ**. კავკას-პრესი.**

■ ■ ■

სენაკი. სენაკში კრიმინოგენული ვითარების გამწვავებას ქალაქის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა შეეწირა. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის გადაწყვეტილებით გათავისუფლებულია კრიმინალური პოლიციის უფროსი, დროებით ქალაქის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა კოკაია.

სენაკის პოლიციის უფროსი ვახტანგ გოგია ერთი თვის განმავლობაში მკურნალობის ინტენსიურ კურსს გადის. მისი მოვალეობის შემსრულებელი მამუკა კოკაია იყო. ამ უკანასკნელის ერთთვიანი მმართველობის პერიოდში სენაკში მოხდა თავდასხმა ავტობუსზე. მოკლულია ავტობუსის მძღოლი კახა ცანაია. თავდამსხმელებმა გაძარცვეს მგზავრები და მიიმალნენ. გარდა ამისა, დღე ისე არ გავა, რომ არ მოხდეს ავტომანქანის გატაცება და სხვა რაიმე დანაშაული.

შესაბამისად, კრიმინოგენული ვითარება გამწვავდა. ელგუჯა ჯამბურიას განკარგულებით პოლიციის უფროსის მოვალეობის შესრულება სენაკის ადმინისტრაციული პოლიციის უფროსს ფრიდონ გეგენავას დაევალა. **კავკას-პრესი**.

■ ■ ■

სტავროპოლი. ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარდა სამეთაურო-საშტაბო სწავლებები, რომელიც ითვალისწინებდა ძალოვანი სტრუქტურების ურთიერთმოქმედების შემუშავებას საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში. როგორც სტავროპოლის მხარის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მილიციის პოლკოვნიკმა ანდრეი ალეკსამ განაცხადა, სწავლებებს კონტრტერორისტული ხასიათი ჰქონდა.

სწავლებებში მონაწილეობა მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, უშიშროების ფედერალური სამსახურის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს, ფედერალური სასაზღვრო სამსახურის რეგიონულმა სტრუქტურებმა. ყარჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, დაღესტნისა და ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩატარებული სწავლებების შეჯამების დასკვნითი ეტაპი ვლადიკავკაზში 30 ოქტომბერს შედგება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

ქობულეთი. სასტუმრო "ივერიის" შენობაში ამერიკის იურისტთა ასოციაციისა და "ცენტრალური ევროპის სამართლებრივი ინიციატივით" დასავლეთ საქართველოს ჟურნალისტებისათვის, საქართველოს ზოგადო ადმინისტრაციული კოდექსის გაცნობის მიზნით, სემინარი გაიხსნა.

სემინარის თემატიკაა ინფორმაციის თავისუფლება ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან დაკავშირებით, აგრეთვე სასამართლო უწყებისა და მასმედიის ურთიერთობა.

სემინარს დასავლეთ საქართველოს 100-მდე ჟურნალისტის გარდა, მოსამართლეები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებიან. "ამგვარი სემინარებით ჩვენ კოდექსის შესწავლას და პრაქტიკაში გამოყენებას ვუწყობთ ხელს, რათა იგი უბრალო ნორმატიულ აქტად არ დარჩეს", - განუცხადა "ინტერ-პრესს" სემინარის ექსპერტმა მაია კოპალეიშვილმა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 1999 წლის 23 ივლისს მიიღეს და იგი 2000 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი მონაწილეობას მიიღებს აბრეშუმის გზის მსოფლიო ტურისტულ ფორუმში, რომელიც 26-29 ოქტომბერს ტაშკენტში გაიმართება.

როგორც კავკას-პრესს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში განუცხადეს, დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე ფორუმში მონაწილეობის მისაღებად ტაშკენტში გაემგზავრა.

მსოფლიო ტურისტულ ფორუმში მონაწილეობას დსთ-ს ქვეყნებთან ერთად და საზღვარგარეთის ქვეყნებიც მიიღებენ. ფორუმზე იმსჯელებენ აბრეშუმის გზაზე ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე. ფორუმის მონაწილე ქვეყნების ტურიზმის სფეროების წარმომადგენლები თავიანთი მოსაზრებით გამოვლენ აღნიშნული საკითხის ირგვლივ. დეპარტამენტის ინოფორმაციით, ფორუმზე სიტყვით თავად ვაჟა შუბლაძეც გამოვა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. 26-27 ოქტომბერს პორტუგალიის ქალაქ კაშტელუ ბრანკუში ჩატარდება საექსპერტო ჯგუფის სხდომა სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით. ამის შესახებ განაცხადა პორტუგალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პერსსამსახურმა.

როგორც პორტუგალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკეშია აღნიშნული, სხდომის მონაწილეებს შორის სამი ამოცანა დგას: "სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა საქართველოს სუვერენიტეტის ფარგლებში", "კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და მხრდაჭერა", "ამ რეგიონში სტაბილიზაციის პროექტების შესრულება", რისთვისაც ევროკავშირი 2,5 მილიონ ევროს რიცხავს**. კავკას-პრესი**.

სამართალი

გაუგებრობას გადაყოლებული მეგობრის სიცოცხლე

თამარ კაციტაძე

რამდენიმე თვის წინ ავჭალის დასახლებაში, ოთხივე კარებგაღებულ მანქანაში ბასრი საგნით მოკლული მამაკაცის გვამი იპოვეს. სამართალდამცველებმა გარდაცვლილის პიჯაკის ჯიბეში საბუთები აღმოაჩინეს და დაადგინეს, რომ ავტომობილი ”ჟიგული” თავად მოკლულს – გოჩა ჭილაძეს ეკუთვნოდა.

რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პროკურატურამ დაადგინა დანაშაულის მიზეზი და მკვლელი სასამართლოს გადასცა.

როგორც გამომძიებელი გურამ გალოგრე ირწმუნება, გოჩა ჭილაძის მკვლელი მისივე მეგობარი გურამ მოდებაძეა.

მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ჭილაძეს სახლიდან შვიდი ათასი დოლარი დაუკარგავს. დაზარალებულ ოჯახს ეჭვი მეგობარზე აუღია. ამის შემდეგ ჭილაძე-მოდებაძეს შორის ურთიერთობა დაძაბულა. ისინი, თურმე, საქმის გასარჩევად პერიოდულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ჭილაძე უმტკიცებდა მოდებაძეს, ქურდი შენ ხარო; ცილისწამებით შეურაცხყოფილი მოდებაძე კი თავს იცავდა – ეს როგორ მაკადრეო.

ასე გრძელდებოდა თითქმის ერთი კვირა. საბედისწერო დღეს მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. მტყუანმართლის გასარჩევად ისინი ჯერ თბილისის ზღვაზე ავიდნენ და, როგორც ჩანს, შერიგდნენ კიდეც, რადგან, როგორც გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში გარდაცვლილის ოჯახის წევრები აღნიშნავენ, ჭილაძეს მოდებაძე და მისი ახლობელი ცუცქირიძე სახლში მიუყვანია და უქეიფიათ. საღამოს მასპინძელმა საკუთარი მანქანით სტუმრები ავჭალაში წაიყვანა. მოდებაძე და ცუცქირიძე ბიძაშვილის სახლში შევიდნენ, რათა შვილის გაბედნიერება მიელოცათ, ჭილაძე კი გარეთ ელოდებოდათ. ნათესავები მალევე გამოვიდნენ უკან და მეგობრის მანქანაში ჩასხდნენ. როგორც ჩვენებებიდან ჩანს, ჭილაძესა და მოდებაძეს შორის დაკარგულ შვიდი ათას დოლარზე დავა კვლავ განახლებულა, რაც ცოტა ხანში ხელჩართულ ჩხუბში გადაზრდილა, ისე რომ ავტომობილიდან არავინ გადასულა. გაბრაზებულ მოდებაძეს მანქანიში დანა უპოვია და ჭილაძისთვის გულ-მკერდის არეში რამდენჯერმე ჩაურტყამს. უმწეო მდგომარეობაში დარჩენილი დაჭრილი სისხლისგან დაიცალა და ადგილზევე გარდაიცვალა. მოდებაძე და ცუცქირიზე კი გაიქცნენ. მოდებაძე რამდენიმე დღეში სამართალდამცველებმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააპატიმრეს.

“გამოძიების პროცესში მოდებაძემ აღიარა მკვლელობა და თავი ნაწილობრივ დამნაშავედაც ცნო, მაგრამ მოგვიანებით ჩვენება შეცვალა და დანაშაულიც უარყო. რაც შეეხება ცუცქირიძეს, მას მკვლელობის თანამონაწილეობა ედება ბრალად,” - გვითხრა გლდანი-ნაძალადევის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა გურამ გალოგრემ. საბოლოო სიტყვა მაინც სასამართლოს ეკუთვნის.

ბადრაგის მკვლელს სამუდამო პატიმრობა ემუქრება

ინგა ალავიძე

32 წლის ბიძინა გვიჩიანს, რომელმაც საოლქო სასამართლოში ბადრაგის თანამშრომელი მოკლა, შესაძლებელია, სამუდამო პატიმრობა დაემუქროს – ყოველ შემთხვევაში, ასე ვარაუდობს გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი გიორგი თეთრაძე.

გვიშიანს, რომელიც ადრე ორჯერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იყო ნასამართლევი, საოლქო სასამართლოში, თანამზრახველ გულიაშვილთან ერთად, ადამიანის გატაცებისთვის ასამართლებდნენ. 26 ივლისს, პროცესის დამთავრების შემდეგ, განსასჯელი ბადრაგმა ალექსი გოდერძიშვილმა და გიორგი ჭინჭარაშვილმა სასამართლოს მესამე სართულზე დროებით დაკავების საკანში გადაიყვანეს. ცოტა ხანში გვიჩიანმა საპირფარეშოში შესვლა მოითხოვა და იქიდან უკვე ”მაკაროვის” სისტემის იარაღით გამოსულმა დაცვას უბრძანა, არ განძრეულიყვნენ, თავად კი გაქცევა დააპირა. ჭინჭარაშვილმა პატიმრის შეჩერება და იარაღის წართმევა სცადა, მაგრამ გვიჩიანმა მუცლის არეში ესროლა და გაიქცა. სროლის ხმაზე ბადრაგის სხვა თანამშრომლებიც გამოცვივდნენ, მაგრამ პატიმარმა სროლა-სროლით შესძლო სასამართლოს შენობიდან გაღწევა. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართლადამცველებმა ბოროტმოქმედი სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ თონეში დაიჭირეს. მაშინვე ამოიღეს “მაკაროვის” სისტემის პისტოლეტიც.

საავადმყოფოში გადაყვანილი ჭინჭარაშვილი მეორე დღეს გარდაიცვალა. სროლის დროს დაიჭრა ბადრაგის ორი თანამშრომელიც.

ხელმეორედ დაპატიმრებულმა გვიჩიანმა დუმილის უფლება აირჩია, თუმცა, როგორც გამომძიებელი თეთრაძე ირწმუნება: **“გვიჩიანის ბრალეულობა იმთავითვე გამოკვეთილი იყო და საქმეც მტკიცებულებების სიმცირეს არ განიცდის. სამაგიეროდ, დღემდე გაურკვეველი რჩება იარაღის მიმტანის ვინაობა. ამიტომ ბადრაგის მკვლელობის საქმე ორ ნაწილად გაიყო. გვიჩიანის საქმე უკვე სასამართლოში გადაიგზავნა, იარაღის მიმწოდებელის საქმის გამოძიება კი კვლავ გრძელდება და იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში მასაც გავხსნით”.**

შეგახსენებთ, თავის დროზე პისტოლეტის მიმტანთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ყველაზე დამაჯერებლად ითვლებოდა ვარაუდი, რომლის თანახმადაც ბადრაგის თანამშრომლებმა, ათიოდე ლარის საფასურად, განსასჯელს ერთ-ერთი ნათესავი შეახვედრეს და გვიჩიანს იარაღიც სწორედ მან გადასცა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ოფიციალური თბილისური მოძრაობა

დედაქალაქში გუშინ და დღეს გამართული თბილისობის რიგით მეოცე დღესასწაული ბევრით არაფრით განსხვავდება შარშანდელისგან. წლეულსაც ქალაქი სავსეა რაიონებიდან შემოტანილი საკვები პროდუქტებით და გამყიდველი გაცილებით მეტია, ვიდრე მყიდველი. პრეზიდენტმა, მთავრობის წევრებთან ერთად, გაძლიერებული ესკორტის თანხლებით, კიდევ ერთხელ მოაწყო ექსკურსია თბილისის ქუჩებში. მათ მოინახულეს ის ახალი ობიექტები, რომელთა გახსნა-პრეზენტაცია საგანგებოდ თბილისობისთვის დაინიშნა. შევარდნაძე ჰგავდა ბავშვს, რომელსაც ყველაფერი ახალი უკვირს და უხარია. "ვხედავ, რომ ბევრი რამ აშენდა და უფრო მეტი გაკეთდა", - დაასკვნა ექსკურსიის ბოლოს პრეზიდენტმა.

ეთერ მამულაშვილი

გუშინ პირველი წითელი ლენტი პრეზიდენტმა ვარკეთილში, წყალსადენის საფილტრაციო სადგურთან გაჭრა. ამ მისიის შესრულების წინ, ჩვეულებრივ, იხუმრა: **"ახლა, ლენტი რომ არ გავჭრა, ეს სადგური არ იმუშავებს?!"**

რეკონსტრუირებული წყალსადენი ფონიჭალის, ლილოს და ისან-სამგორის რაიონის 350.000-მდე ოჯახს წყლის პრობლემას მოუხსნის. "თბილწყალკანალის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის იუზა ცარციძის განცხადებით, გარდა იმისა, რომ ახალი სადგური მაღალი სიმძლავრით მუშაობს (დღე-ღამეში 450.000 კუბურ მეტრ წყალს ფილტრავს), დღეიდან თბილისელებისთვის მიწოდებული წყლის ხარისხი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია.

საფილტრაციო სადგურის მახლობლად პრეზიდენტმა თავისი სახელობის კაკლის ნერგი დარგო. **"ნეტა, რამდენ წელიწადს იცოცხლებს ეს ხე",** - დაინტერესდა შევარდნაძე. **"საუკუნეზე მეტსო",** - დაამშვიდა ქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ.

წყალსადენის შემდეგ პრეზიდენტმა, სახელმწიფო, უშიშროების და შინაგან საქმეთა მინისტრებთან ერთად, მოინახულა კოდის ახლად აშენებული მეფრინველეობის ფაბრიკა "პულტრაჯორჯია". ფაბრიკის ხელმძღვანელობა უახლესი ტექნოლოგიით, დასაქმებული ადამიანების რაოდენობით (250) და მათი ხელფასებით (150-200 ლარი) ამაყობდა. კოდის ფაბრიკა დედაქალაქს თვეში 150.000 ფრთა ქათმითა და 300.000 კვერცხით მოამარაგებს.

პრეზიდენტის შემდეგი გაჩერება ნაძალადევში, ახლახან გახსნილ საბითუმო ბაზართან იყო. ევროპული საკვები და საყოფაცხოვრებო პროდუქტების საბითუმო-სავაჭრო, ქართულ-იტალიური ცენტრი "ჯორჯიტა" დღეიდან თბილისელებს ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის პროდუქციას შესთავაზებს. "ჯორჯიტას" წარმომადგენლები 400 დასახელების პროდუქციის 1500-მდე გაზრდას გვპირდებიან. რაც მთავარია, ხარისხის გარანტი თავად "ჯორჯიტაა".

ხელისუფლების წარმომადგენლებმა სავაჭრო ცენტრიდან მეზობლად მდებარე ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გადაინაცვლეს. როგორც ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, უახლოეს მომავალში ქარხანას ფუნქცია შეეცვლება - ვაგონშემკეთებელი ვაგონმშენებელ ქარხნად გადაკეთდება. შევარდნაძე, ჯორბენაძე და ბურჯანაძე იმ ახალ ვაგონებშიც შევიდნენ, რომლის ექსპლუატაციაში გაშვება ნოემბრის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. ახალი ათვაგონიანი მატარებლები წინამორბედთაგან, ძირითადად, დიზაინით, კომფორტითა და მართვის უახლესი ტექნოლოგიებით განსხვავდება. "სიმენსის" აპარატურით აღჭურვილი მანქანა 20-30 პროცენტით ნაკლებ ელექტროენერგიას საჭიროებს.

ექსკურსანტების ბოლო გაჩერება იყო თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი, სადაც რევაზ ლაღიძისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია მოეწყო.

შევარდნაძემ დაგვიბარა.

ნაციონალური თბილისური მოძრაობა

ნაციონალური მოძრაობის წევრებმა, აქტივისტებმა და მხარდამჭერებმა ტრადიციული თბილისობის პირველი დღე, მათთვის დამახასიათებელი ტრადიციული "მოძრაობით" აღნიშნეს.

ირინე სანებლიძე

მიხეი სააკაშვილი დიდ დიღომში.

გუშინ ნაციონალებს, მოძრაობის აქტივისტებსა თუ, უბრალოდ, მხარდამჭერებს, თბილისობის დღესასწაულის გამო ქალაქის ისედაც გადატვირთული ქუჩები მიტინგებით არ გადაუკეტავთ. "ნაციონალური კორტეჟი", ერთი "იკარუსის" ავტობუსისა და მას ადევნებული რამდენიმე მანქანისგან შედგებოდა.

"ნაციონალური თბილისობის" აღსანიშნავად თავდაპირველად 9 აპრილის სახელობის (ყოფილი ალექსანდრეს) ბაღს ესტუმრნენ. ნაციონალების ლიდერმა, მიხეილ სააკაშვილმა გვანახა "საქართველოს პრეზიდენტის ყურადღების ერთადერთი ობიექტი, მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრის მერაბ ჩხენკელის მოხსნის მიზეზი". როგორც ითქვა, იგი თავდაპირველად ცხრასართულიან შენობად დაპროექტებულა, შემდეგ კი ხუთ სართულამდე შემცირებული საცხოვრებელი სახლი თავდაცვის სამინისტროს ხუთი გენერლის საკუთრებაში გადასულა. მრავალწლიანი ხეებისა და გაჩეხილი ნარგავების ადგილას დაწყებული მშენებლობა თბილისობის გამო შეუჩერებიათ.

შემდეგ ნაციონალებმა ქალაქის ცენტრიდან დიდი დიღმის მეოთხე, ადგილობრივ მკვიდრთა თქმით, "ყველაზე დაჩაგრულ" მიკრორაიონში გადაინაცვლეს. აქ ერთ-ერთი მშენებლობა კანონიერად წარმართულა, პრობლემები კი მოგვიანებით გაჩნდა. "1992 წელს ბაგა-ბაღისთვის დაწყებული შენობა დღემდე კარკასულ მდგომარეობაშია. მას შემდეგ ზოგმა საკუთარი ბიზნესისთვის, ზოგმა საცხოვრებელ ბინებად, ზოგმაც რესტორნისთვის დაადგა შენობას თვალი", - აღელვებული საუბრობდა ლია კერვალიშვილი, სკოლა-ლიცეუმ "დედის იმედის" დამფუძნებელი.

ნაციონალთა მოძრაობის ბოლო პუნქტი იყო ამხანაგობა "ფუძის" მიერ საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მოძრაობის წევრებს აქ დიდხანს ელოდნენ. მშენებლობის ახლოს მცხოვრებ მობინადრეთა პროტესტის მიზეზი იყო ის, რომ ახალი საცხოვრებელი სახლი ძალიან ახლოსაა დანარჩენ სახლებთან, იმდენად ახლოს, რომ დარღვეულია ბუნებრივი, სახანძრო და სამშენებლო ნორმები.

ასე აღნიშნეს ნაციონალებმა თბილისობა. საღამოს მათ საკუთარ ოფისში მოიყარეს თავი, სადაც თბილისობა ძველი ტრადიციით აღინიშნა.

ეკონომიკა

ექსპორტის ზრდას ბიუროკრატიული ბარიერები და არახელსაყრელი საგადასახადო სისტემა აფერხებს

სოფიკო ოხანაშვილი

ცხრა თვის მონაცემებით, საქართველოს ექსპორტის ყველაზე დიდი წილი საფრენ აპარატებზე, შავი ლითონის ჯართზე, დაუმუშავებელ ან ნახევრადდამუშავებულ ოქროსა და ყურძნის ნატურალურ ღვინოზე მოდის. შარშანდელთან შედარებით, შავი ლითონის ჯართის ექსპორტი სამი პროცენტით გაიზარდა, ხოლო ნატურალური ღვინის ექსპორტი 17,3 პროცენტით შემცირდა.

"ქვეყნისთვის, რა თქმა უნდა, უკეთესია, როცა იმპორტი ექსპორტზე ნაკლებია. სამწუხაროდ, ჩვენი ექსპორტის დიდ ნაწილს ნედლეული შეადგენს. ქვეყნიდან დიდი რაოდენობით გადის ჯართი, ხე-ტყე და მცირდება ისეთი პროდუქტების ექსპორტი, როგორიცაა ნატურალური ღვინო," - განაცხადა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საგადასახდელო ბალანსის სამმართველოს უფროსმა ვახტანგ ფხაკაძემ. იგივე პოზიცია აქვს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარეს დავით სალარიძეს, რომლის თქმითაც ჩვენი ექსპორტი, ძირითადად, ჯართის რეალიზაციაზე დგას, რაც ქართულ ეკონომიკაში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებს. 2002 წლის ცხრა თვის (იანვარ-სექტემბერი) შედეგებით, საერთო ჯამში, საქართველოს ექსპორტი, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ექვსი პროცენტით შემცირდა.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის დემურ გიორხელიძის აზრით, ექსპორტის შემცირება არ წარმოადგენს სიახლეს, რადგანაც კლების ტენდენცია ჯერ კიდევ შარშან შეიმჩნეოდა. დემურ გიორხელიძე, ამ ეტაპზე, ექსპორტის შემცირებას ან ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი ბალანსის ზრდას კი არ მიიჩნევს პრობლემად, არამედ ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურას. კატასტროფის მიზეზად კი მან ჩვენი ექსპორტის მთავარ კომპონენტებში "ინტელექტუალური პროდუქციის" მთლიანად იგნორირება დაასახელა, რაც დემურ გიორხელიძეს ქვეყნის ეკონომიკისათვის უფრო საშიშ ტენდენციად მიაჩნია, ვიდრე ექსპორტის საერთო მაჩვენებლის კლება. **"მართალია, მატება შეიმჩნევა, მაგრამ ექსპორტის მთავარ კომპონენტებში არ ფიგურირებს ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა ფეროშენადნობები, აზოტის სასუქები და მთელი რიგი სხვა პროდუქცია, რომელსაც საქართველო ადრე მეტნაკლები წარმატებით აწარმოებდა. დღეს არც ერთი საწარმოს საქმიანობის შედეგი ექსპორტის წამყვან კომპონენტებს შორის არ ფიგურირებს,"** - განაცხადა დემურ გიორხელიძემ.

ექსპორტის შემცირების მთავარ მიზეზად საკანონმდებლო ორგანოში ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ გარემოს, რთულ საგადასახადო სისტემას, თურქეთის საფინანსო კრიზისსა და რუსეთთან დაძაბულ პოლიტიკურ ურთიერთობას ასახელებენ. **"ექსპორტის შემცირებას ბევრი მიზეზი აქვს. პირველ რიგში, ჩვენ ვერ გავაცნობიერეთ, რომ ქართულ მეწარმეობას ხელის შეწყობა უნდა. ბევრი ცდის მიუხედავად, ვერ გავხადეთ ლიბერალური რთული საგადასახადო სისტემა. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ნედლეულის შემოტანას დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი ვერ შევუქმენით",** - აღნიშნა დავით სალარიძემ.

"ექსპორტის შემცირება და იმპორტის ზრდა, ბუნებრივია, ქვეყანაში მიმდინარე არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის ბრალია. სამწუხაროდ, ქვეყანაში არაფერი არ კეთდება წარმოების წასახალისებლად და ხელშესაწყობად. ყოველივე ამას თურქეთის კრიზისი და რუსეთთან არსებული დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობაც ემატება. თურქეთი და რუსეთი საქართველოს ყველაზე აქტიური სავაჭრო პარტნიორები არიან. ყოველივე ეს კი, თავისათვად, სავაჭრო ურთიერთობებზეც აისახება", – განაცხადა ფრაქცია "მრეწველების" წევრმა ზურაბ ტყემალაძემ.

კოლეგისგან განსხვავებით, დემურ გიორხელიძე ექსპორტის შემცირების უმთავრეს მიზეზად მეწარმეობის ნორმალური სფეროდან ჩრდილოვან სფეროში გადაყვანას ასახელებს, რასაც, მისი თქმით, საფუძვლად ქვეყანაში არსებული ბიუროკრატიული განუკითხაობა უდევს. **"არა მგონია, ექსპორტი განსაკუთრებულად იყოს შემცირებული, უბრალოდ, პროდუქციის არალეგალურ სექტორში გადაქაჩვა ხდება. ბიუროკრატიული განუკითხაობა, კორუფცია, არახელსაყრელი სამეწარმეო გარემო, არახელსაყრელი საგადასახადო კანონმდებლობა, საბაზრო ინსტიტუტების გაუმართავი ფუნქციონირება საქმიან ადამიანებს აიძულებს, ნორმალური სფეროდან ჩრდილოვან სექტორში გადავიდნენ",** - განაცხადა დემურ გიორხელიძემ.

2002 წლის ცხრა თვის შედეგებით, საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელი, შარშანდელთან შედარებით, 14,8 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა. 2001 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ იანვარ-სექტემბერში 778,7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მიმდინარე წლის იმავე პერიოდში მხოლოდ - 763,9 აშშ დოლარი. აქედან ექსპორტი 240,2 მილიონი აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი – 523,7 მილიონი აშშ დოლარი.

მიმდინარე წლის ცხრა თვის შედეგებით, ექსპორტისგან განსხვავებით, იმპორტი, წინა წელთან შედარებით, 335 ათასი აშშ დოლარით გაიზარდა. იმპორტის გაზრდა, ძირითადად, სამკურნალო საშუალებების, შაქრის, მსუბუქი ავტომობილებისა და ხორბლის ხარჯზე განხორციელდა. 2001 წლის მსგავსად, მიმდინარე წელსაც იმპორტის სტრუქტურაში ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნავთობისა და აირისებრი ნახშირწყალბადები და სამკურნალო საშუალებები სჭარბობენ, რომლებმაც წელს იმპორტის მთლიანი მოცულობის 25,8 პროცენტი შეადგინეს.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის შემცირების ერთ-ერთ მიზეზად ზურაბ ტყემალაძე, უშეღავათო საგადასახადო სისტემისა და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან არსებული პრობლემების გარდა, საქართველოში არსებულ კრიმინალურ მდგომარეობასაც მიიჩნევს. **"გატაცებულია ევროკავშირის ექსპერტი, უცხოელ ბიზნესმენებს იტაცებენ, საომარი მდგომარეობაა პანკისში, დაძაბულობაა კოდორის ხეობაში, ყოველდღე ვიღაცის იმპიჩმენტს მოითხოვენ. ყოველივე ეს უარყოფითად აისახება საგარეო ვაჭრობაზე",** - აღნიშნა ფრაქცია "მრეწველების" წევრმა.

ექსპორტის შემცირების ერთ-ერთ მიზეზად დეპუტატები იმასაც ასახელებენ, რომ საქართველოში აღარ ხდება ექსპორტის პოტენციალის მქონე პროდუქციის იმ რაოდენობით წარმოება, რომ საერთაშორისო ბაზარზე გაიტანონ. ამის მაგალითად დავით სალარიძემ ჩაის წარმოება დაასახელა. **"600 ათას ტონა ჩაის ვკრეფდით და რუსეთის ბაზარზე გაგვქონდა, დღეს კი, პრაქტიკულად, ოთხ-ხუთ ათას ტონაზე მეტს ვეღარ ვაწარმოებთ. ქართულ ბაზარზე 80 პროცენტი იმპორტულ ჩაის აქვს დაკავებული. იმის გამო, რომ ხელი არ შევუწყეთ ამ დარგის განვითარებას, ერთ-ერთი სერიოზიული საექსპორტო დარგი, პრაქტიკულად, გაკოტრებულ დარგად იქცა",** - აღნიშნა პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ.

უცხოეთი

რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის ხათრით ყველაფერზე მიდის

თორნიკე შარაშენიძე

კომუნისტურმა ჩინეთმა 16 წელი იბრძოლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანებისათვის და ბოლოს საწადელს მიაღწია. რუსეთი, რომელიც კარგა ხანია, აღარ არის კომუნისტური, ამას ვერაფრით ახერხებს. რა შეიძლება დათმოს ამის სანაცვლოდ "ჩრდილოელმა დათვმა"? სპეციალისტთა აზრით, საკმაოდ ბევრი, რადგან პუტინის ხელისუფლება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს დასავლეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გამყარებას და ამგვარად ინტეგრირებას ცივილიზებულ სამყაროში.

პუტინი ახლა დაიმედებულია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ისე შორს აღარ არის და საამისოდ ვაშინგტონის მხარდაჭერაც აქვს. ამას ადასტურებს რუსეთის მთავრობის წევრთა არაერთი განცხადება თეთრ სახლთან წარმატებული მოლაპარაკებების თაობაზე. აშკარაა, რომ ამერიკა უკვე მზადაა, მწვანე შუქი აუნთოს რუსეთის ორგანიზაციაში გაწევრიანებას. რა დათმო ამის სანაცვლოდ მოსკოვმა, მეტ-ნაკლები სიზუსტით, მაინც შეიძლება ვივარაუდოთ - ერაყი. მოსკოვი, ალბათ, აღარ გამოვა ჰუსეინის რეჟიმზე დარტყმის წინააღმდეგი და, შესაძლოა, იმაზეც თანახმაა, რომ რუსული კომპანიების მიერ ათვისებული ნავთობსაბადოების ნაწილი "ექსონ-მობილებსა" და "შევრონ-ტექსაკოებს" გადაულოცოს.

ასე რომ, "ჩრდილოელ დათვს" ახლა ისღა რჩება, ურთიერთობა ევროკავშირთან გაარკვიოს. რუსეთის მთავრობა უკვე მზადაა, თავისი წინადადებებით წარსდგეს ევროკომისიის სავაჭრო კომისრის - პასკალ ლამის წინაშე, რომელიც ახლახან ეწვია მოსკოვს.

რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას მომავალი წლის ბოლოსათვის იმედოვნებს, მაგრამ საამისოდ მეტად სერიოზული ბარიერების დაძლევა მოუწევს, რომელთაგან ყველაზე სერიოზული სწორედ ევროკავშირის წინააღმდეგობა იქნება. ეს უკანასკნელი, რომელიც მოსკოვის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორია, ჯერჯერობით ვეტოს ადებს რუსეთის ორგანიზაციაში მიღებას.

ორგანიზაციის წესდებით, ყოველმა სახელმწიფომ, რომელიც მასში გაწევრიანებას მოინდომებს, აუცილებლად უნდა დაარწმუნოს ორგანიზაციის წევრები, რომ იგი თავისუფალი ბაზრის პრინციპების ერთგულია. ამ პრინციპით ორგანიზაციის წევრები მოხერხებულად თამაშობენ ხოლმე – იმისათვის, რათა სხვა ქვეყნის თავისუფალი ბაზრისადმი ერთგულება აღიარონ, ამ ქვეყნის ბაზარზე მეტ დაშვებასა და თავისუფლებას მოითხოვენ (ასე მოხდა ჩინეთის შემთხვევაში, რომელიც იძულებული გახდა, თავის ბაზარზე დაეშვა თითქმის ყველა სახეობის საქონელი და ყველა ჯურის უცხოური კომპანია). ამდენად, ევროკავშირი ახლა ამ შანსს ხელიდან ნამდვილად არ გაუშვებს. მოსკოვს აუცილებლად მოუწევს თავის ბაზარზე ევროპული კომპანიების დაშვება, მათ შორის, საბანკო სექტორშიც, რომელიც 1998 წლის კრიზისისა და რუბლის დევალვაციის შემდეგ უცხოელებისათვის დაიკეტა. მოსკოვს აუცილებლად მოუწევს კორუფციასთან ბრძოლის გამკაცრება და კორპორაციებზე კონტროლის გამკაცრება. კორპორაციული ქმედებების გამო, რუსეთი "ველურ აღმოსავლეთადაა" ცნობილი - აქ არაერთ უცხოელ ინვესტორს დაუკარგავს ფული და, მასთან ერთად, ფულის დაბრუნების იმედიც.

გარდა ამისა, პუტინს სერიოზული წინააღმდეგობების გადალახვა მოუწევს ქვეყნის შიგნითაც, უპირველეს ყოვლისა კი - მთავრობაში. ბევრი რუსი მაღალჩინოსანი შიშობს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა გამოიწვევს ქვეყანაში უცხოური კომპანიების შეჭრასა და კონკურენციის უკიდურეს გამძაფრებას, რაც იოლად ჩაკლავს ახლადფეხადგმულ რუსულ წარმოებას. ანალოგიური ვარაუდი უკვე ნაწილობრივ გამართლდა აღმოსავლეთ ევროპაში.

მაგრამ პუტინს უკვე არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ, მისი შეხედულებებით, სახელმწიფოსათვის საჭირო კურსის გასატარებლად იგი არანაირ წინააღმდეგობას არ ეპუება და, სავარაუდოდ, თავისას მაინც გაიტანს. სუკ-ის ყოფილ ოფიცერს ვერ წარმოუდგენია თავისი ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გარეთ და იმედოვნებს, რომ ამ ეტაპის გავლის შემდეგ რუსეთი "G7"-ის (გაფართოებული შვიდეულის, სადაც შედიან აშშ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, კანადა) სრულუფლებიანი წევრი გახდება და, სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად, ჩაერთვება მსოფლიო პოლიტიკის შექმნაში. თუმცა, ეს ალბათ კიდევ ცალკე ვაჭრობის საგანი იქნება და რუსეთს დამატებით დათმობებზე წასვლა მოუწევს.

მოსკოვის ტერაქტის ქრონიკა

პირველი გვერდიდან

06:30-07:15 პერიოდულად ვრცელდება ინფორმაციები მძევალთა პატარ-პატარა ჯგუფების გათავისუფლების შესახებ. შენობასთან მივიდა 10 ავტობუსი, სავარაუდოდ, ხალხის გადასაყვანად. თეატრალური ცენტრის შენობაში კვლავ ინტენსიური სროლა მიმდინარეობს.

07:15 ბარაევი მოკლულია. თეატრალური ცენტრის შენობას რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ძალები აკონტროლებენ. მძევლები შენობიდან გამოჰყავთ. შენობაში ჩადებული ბომბების დიდი ნაწილი გაუვნებელყოფილია.

შენობის შტურმი, დაახლოებით, ექვსის ნახევარზე დაიწყო და ერთ საათს გრძელდებოდა. რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს უკვე მოახსენეს ოპერაციის დასრულების შესახებ. ტერორისტთა უმეტესობა დახოცილია. ზოგიერთმა მათგანმა კი გაქცევა მოახერხა. არის რამდენიმე დაკავებულიც.

07:51 თეატრალური ცენტრის შენობიდან გამოჰყავთ მძევლები. დაშავებულები საავადმყოფოებში გადაჰყავთ. რუსეთის სასწრაფო დახმარების დაუზუსტებელი მონაცემებით, მოკლულია 10 მძევალი. შენობიდან გვამები გამოაქვთ. სპეცრაზმელებს შორის დაშავებული არავინაა.

07:45 ზოგიერთმა ბოევიკმა გაქცევა შესძლო. ერთ-ერთი ტერორისტი ჟურნალისტების ჯგუფს შეერია და ასე სცადა მიმალვა, თუმცა, ვერ მოახერხა.

08:50 ვრცელდება მომხდარის ოფიციალური ვერსია:

რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული იძულებითი ოპერაციის შედეგად მოკლულია ტერორისტების თავკაცი მოვსარ ბარაევი და მისი 36 ბოევიკი. ოპერაცია გამთენიისას დაიწყო და 40 წუთს გრძელდებოდა.

სპეცრაზმელები შენობაში აფეთქებული კედლიდან შევიდნენ. გათავისუფლებულია 700-ზე მეტი მძევალი. გაუვნებელყოფილია შენობაში ტერორისტების მიერ დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობები.

უფს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის უფროსის მოადგილის სერგეი იგნატჩენკოს თქმით, ოპერაციის ჩატარება გამოუვალმა მდგომარეობამ გამოიწვია. შტურმი მაშინ დაიწყო, როცა ტერორისტებმა მძევლების დახვრეტა დაიწყეს. იგნატჩენკოს განცხადებით, რამდენიმე მძევალმა შენობიდან გამოღწევა სცადა, მაგრამ ტერორისტებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. სწორედ ამ ხალხის დასახმარებლად დაიძრნენ სპეცრაზმელები. ამჟამად მიმდინარეობს გაქცეულ ტერორისტთა ინტენსიური ძებნა.

09.12 ცოცხალია თეატრის ყველა მსახიობი და შენობაში მყოფი ყველა ბავშვი. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 67 მძევალი.

10.39 საინფორმაციო საშუალებათა ცნობით, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია დაიწყო. ფედერალური ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შტაბის ცნობით, არმიის სპეცრაზმის ნაწილები რესპუბლიკის ყველა იმ რაიონში ატარებენ განსაკუთრებულ ღონისძიებებს, სადაც ბოევიკების პატარა ჯგუფების ყოფნაც კი ივარაუდება.

11.52 რუსეთის გენერალურმა პროკურორმა ვლადიმირ პუტინს აღუთქვა, რომ მძევლების აყვანის საქმეს ყოველმხრივ გამოიძიებენ, დაადგენენ, თუ ვინ უწყობდა მათ ხელს როგორც მოსკოვში, ისე ჩეჩნეთსა და უცხოეთის ქვეყნებში.

12.07 რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის ქვეშევრდომებს მოუწოდა, ყველა ზომა მიიღონ, რათა არ დაუშვან ანტიჩეჩნური ისტერიის გაღვივება და კონფლიქტები ეროვნულ თუ რელიგიურ ნიადაგზე.

12.29 ტერორისტების გვამების გამოკვლევისას დადგინდა, რომ ისინი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღიარა, რომ ტერორისტების, განსაკუთრებით კი - კამიკაძე-ქალების, გასაუვნებელყოფად გამოიყენეს სპეცსაშუალებები. კერძოდ, რა სახის, ის არ აკონკრეტებს.

12.47 HTB-ს ცნობით, მაშველები აცხადებენ, რომ გათავისუფლების მომენტში 200-მდე მძევალი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ზოგიერთ მათგანს გულისცემის გაჩერება, კონტუზიის ნიშნები აღენიშნებოდა. თვალის გუგების ზედმეტად დავიწროვება მათ მოწამვლაზე მეტყველებდა, თუმცა მოწამვლის სხვა ნიშნები (ცხვირიდან და ყურებიდან სისხლდენა, პირღებინება) არ აღენიშნებოდათ.

14.17 ვეტერანების ჰოსპიტალში მიყვანის შემდეგ ცხრა მძევალი გარდაიცვალა. რუსეთის შს მინისტრის მოადგილე კატეგორიულად გამორიცხავს, რომ ეს ხალხი შტურმის დროს სპეცსაშუალებების გამოყენების გამო დაიღუპა.

14.29 მოსკოვის N68 საავადმყოფოში გათავისუფლებული მძევალი ქალი გარდაიცვალა.

15.30 თეატრალურ ცენტრში შეჭრილ კამიკაძე-ქალებს საველე მეთაურის მოვსად ბარაევის ბიძის - არბი ბარაევის ქვრივი ზურა ბარაევა ედგა სათავეში. გარდა ამისა, ტერორისტებს შორის იმყოფებოდნენ ჩეჩენი საველე მეთაურების ზელიმხან და რეზვან ახმადოვების ქვრივები. HTB-ს ცნობით, დარბაზში მძევლებთან ერთად მყოფი ტერორისტი ქალები შტურმის დროს მძინარეები დახოცეს. სპეცრაზმელები მძინარე ქალებს საფეთქელში ესროდნენ.

18.15 უკვე დადგინდა, რომ გაუვნებელყოფილია 50 ტერორისტი.

20.00 ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულ მძევალთა რაოდენობამ 90-ს გადააჭარბა.

მოსკოვის „წარმატებული“ სპეცოპერაციის მსვლელობა

რუსეთის ხელისუფლების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაწესებული ცენზურის მიუხედავად, შესაძლებელი გახდა კულტურის სახლში გამაგრებული ჩეჩენი ტერორისტების წინააღმდეგ განხორციელებული სპეცოპერაციის ზოგადი სურათის აღდგენა.

გიორგი ხელაშვილი

პრინციპული გადაწყვეტილება თეატრის შენობის შტურმის შესახებ რუსეთის ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, კრიზისის დასაწყისშივე მიიღო. სპეცსამსახურებს შესაბამისი ბრძანება თავიდანვე მისცეს და მათაც ოპერატიული ცნობების შეგროვება დაიწყეს. პარასკევს დიგერებმა (სპეციალურად გაწვრთნილმა მიწის მთხრელების ბრიგადებმა) საფუძვლიანად შეისწავლეს თეატრის შენობის საძირკველი. მათი თქმით, ხანდახან ტერორისტების გადალაპარაკებაც კი ესმოდათ. სპეცსამსახურებს ოპერაციის გეგმის მომზადებაში დაეხმარა ის ვიდეოკადრები, რომლებიც ტელეკომპანია "ენ-ტე-ვე"-ს ჟურნალისტებმა გადაიღეს. გარდა ამისა, თანამედროვე ტექნოლოგიების – კერძოდ, თბოხედვის მოწყობილობების წყალობით – მოიერიშეებს დაწვრილებითი წარმოდგენა ჰქონდათ თეატრის შენობაში მძევლებისა და ტერორისტების გადაადგილებისა და განლაგების შესახებ.

ოპერატიული ინფორმაციის შეკრების შემდეგ, ჯავშანტექნიკა, რომელიც ორი დღის განმავლობაში გაუნძრევლად იდგა თეატრის სიახლოვეს, შუაღამისას შენობას მიუახლოვდა.

თეატრის შენობის იერიში ადგილობრივი დროით დილის ექვსი საათისათვის იყო დაგეგმილი, მაგრამ უფრო ადრე დაიწყო. რუსი სამართალდამცველების ვერსიით, იერიში იმის გამო დაჩქარდა, რომ ტერორისტებმა მძევლების ხოცვა დაიწყეს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ სროლა მას მერე ატეხილიყო, რაც ჩეჩნებმა შენობასთან მიახლოებული რუსი სპეცრაზმელები შენიშნეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ შენობის გარშემო შეკრებილ ხალხში ტერორისტებს რამდენიმე მეკავშირე ჰყავდათ, რომლებიც მათ მობილური ტელეფონების საშუალებით რუსი სპეცრაზმელების გადაადგილების შესახებ ცნობებს აწვდიდნენ. ორი მათგანი დააკავეს კიდეც.

ტერორისტებმა ცეცხლი ავტომატებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან გაუხსნეს მოახლოებულ სპეცრაზმელებს, მაგრამ შეტევის მოგერიება უკვე ველარ მოახერხეს. პირველი შეტაკებები ჩეჩნებსა და სპეცრაზმელებს შორის დილის ექვსის ნახევარზე დაიწყო.

შეტევა ორმა ჯგუფმა განახორციელა – სპეცრაზმმა "ალფამ" და მილიციის სპეცდანიშნულების დანაყოფმა ("სობრ"-მა). "ალფა"-ს წევრებმა შეძლეს, შეემტვრიათ თეატრის უკანა კარი და სამი მხრიდან შეჭრილიყვნენ თეატრის მთავარ დარბაზში, სადაც მძევლები იყვნენ თავმოყრილნი. უშუალოდ დარბაზში შეჭრამდე ვენტილაციის სისტემიდან დარბაზში უკვე შეშვებული იყო სპეციალური აირი, რომელიც "ინკაპაციტანტების" ტიპს უნდა ეკუთვნოდეს. ამ აირს ადამიანი დროებით გამოჰყავს მწყობრიდან, მაგრამ ქიმიურ იარაღად არ ითვლება და მსოფლიოს მრავალი არმიის, მათ შორის რუსეთის არმიის, შეიარაღებაშია. საფიქრებელია, რომ "ალფას" წევრებმა დარბაზში დამატებით გადაისროლეს მათ ხელთ არსებული გაზის ყუმბარები. ამით შეძლეს, მწყობრიდან გამოეყვანათ ტერორისტი ქალები, რომლებიც, როგორც ჩანს, მძევლების სადარაჯოდ იყვნენ დატოვებულნი და დარბაზის ბოლო რიგებში ისხდნენ. გრძნობაწართმეული ტერორისტი ქალები სპეცრაზმელებმა საფეთქელში გასროლით დახოცეს (შესაძლოა, მაყუჩიანი პისტოლეტების საშუალებითაც, რათა დარბაზის გარეთ მყოფი ტერორისტი მამაკაცების ყურადღება არ მიეპყროთ). სწორედ ამიტომ ვერც ერთმა ქალმა ვერ მოახერხა წელზე დამაგრებული ასაფეთქებელი მოწყობილობის დეტონირება.

პარალელურად, დილის 6 საათისათვის, შენობაში შეიჭრა მილიციის სპეცრაზმიც. მას მაშინვე გაუხსნეს ცეცხლი ტერორისტმა მამაკაცებმა, რომლებიც თეატრის მთავარი დარბაზის გარეთ, დერეფნებსა და დამხმარე სათავსოებში იყვნენ განლაგებულნი. თვითმხილველთა ცნობით, სწორედ ამ წუთიდან იწყება ნამდვილი საომარი მოქმედებები თეატრის შიგნით. შესაძლოა, სროლის დაწყებას პანიკა გამოეწვია მძევლებს შორის, რომლებიც, ბუნებრივია, გასასვლელს მიაწყდნენ და მილიციისა და ტერორისტების ჯვარედინ ცეცხლში მოხვდნენ. ამ სროლის შედეგად დაღუპულ მძევლებს ნატყვიარები ემჩნევათ.

პირველი მძევლები თეატრის შენობის გარეთ მილიციის ქვედანაყოფის იერიშიდან ორიოდე წუთში გამოცვივდნენ. მათთან ერთად, შენობა, შეიძლება, რამდენიმე ტერორისტსაც დაეტოვებინა, რომლებიც ველარ აღმოაჩინეს.

რუსული სპეცრაზმების შეტევის საერთო ხანგრძლივობა, დაახლოებით, ერთი საათი იყო (დილის ექვსის ნახევრიდან შვიდის ნახევრამდე ადგილობრივი დროით), მაგრამ შენობის შიგნით ინტენსიურმა სროლამ, დაახლოებით, ნახევარ საათს გასტანა. ჩეჩნები, როგორც ჩანს, თითოოროლად დახოცეს შენობის სხვადასხვა კუთხეში. ორი ჩეჩენი ტყვედ აიყვანეს. რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან უარყოფის მიუხედავად, მსხვერპლი უნდა ყოფილიყო მოიერიშე სპეცრაზმელების რიგებშიც. ორივე სპეცრაზმი სულ ასამდე მებრძოლს ითვლიდა.

სპეცრაზმებს თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვა სამასამდე მაშველი, რომელთა ნაწილმაც კედლებსა და დარბაზის ცენტრში დამონტაჟებული ბომბების გაუვნებელყოფა დაიწყო. მაშველთა უმრავლესობა კი მძევლების შენობის გარეთ გაყვანას შეუდგა. დარბაზში გაშვებული აირის ზემოქმედების გამო, მძევლების, დაახლოებით, მესამედი უგონოდ იყო. მაშველების მონაყოლის მიხედვით, ხალხი მკვდარივით იწვა. მაშველები სახეში გარტყმით არკვევდნენ, მძევალი მკვდარი იყო თუ ცოცხალი. მხოლოდ ამის შემდეგ, ისინი შენობის გარეთ გაჰყავდათ და ავტობუსებში ათავსებდნენ, სადაც აწ უკვე ყოფილ მძევლებს პირველად სამედიცინო დახმარებას უწევდნენ და საავადმყოფოებში ანაწილებდნენ.

საფიქრებელია, რომ, აირის ზემოქმედების გამო, ჯერ კიდევ დარბაზში ყოფნისას, 30-მდე მძევალი დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ გაზი მომაკვდინებელი არ უნდა იყოს, მას უმძიმესად უნდა ემოქმედა სასუნთქი გზებითა და გულით დაავადებულებზე. გარდა ამისა, 60 საათის განმავლობაში უჭმელ-უსმელი და სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანები ქიმიური ნაერთის მიმართ გაცილებით უფრო მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ, ვიდრე ეს სხვაგვარ შემთხვევებში იქნებოდა. თანაც, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ჰაერში მომწამლავი აირის კონცენტრაცია, ალბათ, სიცოცხლისათვის საშიშ ნორმასაც აღემატებოდა. გამოყენებული გაზი ჰაერზე მძიმეა, ამიტომ საჭირო გახდა მისი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გაშვება. გაზის სიმძიმით აიხსნება ისიც, რომ მან ვერ იმოქმედა შენობის მეორე სართულზე გამაგრებულ მამაკაც ტერორისტებზე, რომლებიც ბრძოლაში ჩაებნენ.

ალბათ, ამ მიზეზების გამო მოხდა ისე, რომ ყოფილი მძევლების დიდი ნაწილი დღის ბოლომდე გონზე ვერ მოვიდა. ბევრი ჰოსპიტალიზებული ადამიანის მდგომარეობა მძიმე და კრიტიკულიც კი იყო, ხოლო საავადმყოფოში დაღუპულთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა.

REUTERS

მხიარული საშემოდგომო შოუ-კონცერტი მოსწავლეებისთვის

"ძალიან მჭირდებოდა ასეთი განტვირთვა, შესანიშნავი კონცერტია", - ამბობს ბებია, რომელსაც აქეთ-იქით შვილიშვილები ამოუყენებია და, თავად კმაყოფილი, მათ აღარ აცლის, რომ შთაბეჭდილება გაგვიზიარონ. გუშინ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე "იმიჯ ცენტრის" მიერ ორგანიზებული შოუ "შემოდგომის არდადეგები" დაიწყო.

დალი კუპრავა

"საშემოდგომო არდადეგების" პირველ წარმოდგენას მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე პატარები და დიდები ერთნაირი აღფრთოვანებით უკრავდნენ ტაშს.

მოდელების სააგენტო "იმიჯ ცენტრმა", ჩვეულებისამებრ, როგორც ყველა არდადეგებზე, მოსწავლეებისთვის მხიარული შოუკონცერტის ერთკვირიანი სერია დაიწყო.

დარბაზში ყველა ასაკის ადამიანს ნახავდით. იყვნენ პატარები, რომლებიც მშობლებს და ბებია-ბაბუებს მოეყვანათ, იყვნენ "დამოუკიდებელი" მოზარდებიც და ამ ასაკს გადაცილებული ახალგაზრდებიც - სცენაზე ხომ პოპულარული "ინტრო", ქეთა თოფურია და კახა კუხიანიძე იმღერებდნენ. სწორედ კონცერტის პროგრამის "ბრალი" იყო, რომ მეთერთმეტეკლასელმა ბიჭებმა თავისი "ბავშვობა" არ დამალეს: "ეს ხომ ჩვენთვის არის და, რატომ არ უნდა მოვსულიყავი, ქეთა მღერის, კახა და, რა ვიცი, ყველა რა..."

კონცერტის პროგრამა, საუკეთესო გაგებით, აკადემიურად არის შედგენილი: თანამედროვე და ტრადიციული, საცეკვაო და ვოკალური ნომრები, მაყურებლის ჩასართველი გასართობი ინტერაქტივები...

თეატრის ფოიეში კლოუნები და "ბეტმენი" მაყურებლებს სტუდია "ფოტოსამყაროს" უფასო მომსახურებას სთავაზობდნენ. დარბაზში კი შოუს სპონსორი, ფირმა "Oriflame" მაყურებლებს პრიზებით ასაჩუქრებდა.

დარბაზის აქტიურობა უდავო ნიშანი იყო იმისა, რომ ყველა მონაწილე სასურველი და მოსაწონი გახლდათ. ყველაზე პატარებმა "ჯაივი", "სამბა" და "როკ-ენ-როლი" ისე მხურვალედ შეასრულეს, მაყურებელს ადგილზე ჯდომა უჭირდა. ნინი შუშანაშვილმა, რომელიც ძლივს ჩანდა სცენაზე, მსმენელი არტისტიზმით გააოცა, როცა წამყვანის იმპროვიზაციაში ჩაერთო. სალომე წვერაიძემ და მოცეკვავე "მეტეხელმა" ბიჭებმა ქართულ პოპურზე დადგმული შოუ წარმოადგინეს.

"აუ, რა მაგარი იყო არა, ქეთას ახალი სიმღერა..." - ასე შეაფასეს ბიჭებმა ქეთა თოფურია, რომელმაც უკვე პოპულარული "შაირის" შემდეგ ახალი, რიტმული სიმღერა შეასრულა, აი, ისეთი, დღეს მოზარდები უცებ რომ აიტაცებენ ხოლმე.

წამყვანმა ბელადმა მაგდუმ თბილისობა სცენაზეც მოითხოვა და სალომე გასვიანი და ნინო როინიშვილიც არ დაზარდნენ - კინტოური და სომხური მელოდიები დააგუგუნეს და ძველი თბილისი გააცოცხლეს.

ქართული ხალხური ცეკვები რომ ყველა თაობაში პოპულარულია, ანსამბლ "მეტეხის" გოგო-ბიჭების გამოსვლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა...

და ეს ყველაფერი საინტერესო, მხიარული სიუჟეტის ფორმატში ხორციელდებოდა. ველური ბელადი მაგდუ მონაწილეებს მხოლოდ მაშინ ათავისუფლებდა, თუ მაყურებლისგან მხურვალე ოვაციას დაიმსახურებდნენ.

"მოსკოვის ამბების შემდეგ, რას ვიფიქრებდი, თუ დღეს ასე ხალისიანად ვიქნებოდი. რა კარგი ვქენი, რომ ბავშვებს ხათრი არ გავუტეხე და წამოვიყვანე", - მითხრა ახალგაზრდა ქალმა, როცა ვთხოვე, შეეფასებინა შოუ, რომლის ბილეთიც არც ისე "ხურდა ფული ღირს" (გამოთქმა ერთმა მამამ გამოიყენა, - რაღაც ხურდისთვის ასეთ რამეზე უარს ვინ იტყვისო!).

შოუკონცერტები 4 ნოემბრამდე გაგრძელდება. მარჯანიშვილის თეატრი საშემოდგომო მხიარულ არდადეგებზე მაყურებელს ელის.

ვახო გაბელიას ფოტოები

26 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღე 5 საათზე გიწვევთ მარჯანიშვილის თეატრში მხიარულ შოუ-კონცერტზე "შემოდგომის არდადეგები", მონაწილეობენ:
ჯგუფი "ინტრო"
ქეთა თოფურია
მარიკა თხელიძე
სალომე გასვიანი
კახა კუხიანიძე
მარიამ როინიშვილი
სალომე წვერაიძე
"მეტეხი"
"თელა" და სხვები
ბილეთები შეიძინეთ მარჯანიშვილის თეატრის სალაროებში

კალათბურთი

თბილისი დიდ კალათბურთს უმასპინძლებს

ბოლო დროს ქართველი კალათბურთის მოყვარულები განებივრებული არ არიან საერთაშორისო მატჩებით. გულშემატკივარი მხოლოდ ჩვენი კალათბურთელების უცხოურ გუნდებში მიღწეული წარმატებებით თუ იფხანს გულს.

ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, დიდი ხნის პაუზის შემდეგ, თბილისი კვლავ უმასპინძლებს ევროპულ კალათბურთს. თბილისის "დინამო" FIBA-ს ევროპის რეგიონულ ტურნირზე თავის პირველ მატჩს გამართავს. ეს ტურნირი ახლა დაფუძნდა და, შესაბამისად, პირველია არა მარტო "დინამოსთვის", არამედ მასში მონაწილე ყველა გუნდისთვის.

თბილისის "დინამო" მოხვდა ევროპის რეგიონული ტურნირის A ჯგუფში, რომელშიც, ჩვენს გარდა, ბაქოს "NTP-სერვისი" და უკრაინის ქალაქ იუჟნის "ხიმიკი" იასპარეზებენ. 30 ოქტომბერს, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში, "დინამო" სწორედ "ხიმიკს" უმასპინძლებს. "ხიმიკი" უკრაინის სუპერ-ლიგაში წლეულს გადავიდა და ახლა ცხრილის შუაგულშია. სეზონის დასაწყისში გუნდის მწვრთნელად დაინიშნა იუგოსლავიელი ზვეზდან მიტროვიჩი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა "ხიმიკის" შემადგენლობა. ჩვენს მეტოქეს ორი იუგოსლავიელი ლეგიონერიც ჰყავს: გამთამაშებელი დანილო ფატკიჩი და 34 წლის ვეტერანი ვლედან ჟიკოვიჩი.

"ხიმიკის" შემდეგ "დინამო" "NTP-სერვისს" შეხვდება. მატჩი ბაქოში 14 ნოემბერს გაიმართება.

პრობლემა

ჯანმრთელობის კერას ზამთრის ეშინია

სპორტის ზოგიერთი სახეობა, ინვენტარის აუცილებლობის გამო, ძვირად ღირებულთა რიცხვს განეკუთვნება. ადრე, როდესაც შედარებით გამართულ ქვეყანაში ვცხოვრობდით, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა და, საერთოდ, სადარბაზო სპორტის სახეობები ფუფუნებას არ წარმოადგენდა. ერთადერთი, რაც მათ ესაჭიროებოდათ - შესაბამისი ტემპერატურა დარბაზში თუ აუზში.

ბიბა ბურასაშვილი

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, სპორტის ეს სახეობები საქართველოში ან სულს ლაფავენ, ან ყოფნა-არყოფნის წინაშე დგანან. ერთ-ერთი ასეთია საწყლოსნო სახეობები. საცურაო კოსტიუმი და სათვალე ძვირად ღირებულ ინვენტარს ნამდვილად არ განეკუთვნება, მაგრამ დღეს გამოჩნდა, თუ რა ძალისხმევა სჭირდება აუზის მოვლას, პატრონობას და მის შენარჩუნებას. ამის კარგი მაგალითია მოცურავეთათვის დაკარგული ვაკის დახურული აუზი, რომ აღარაფერი ვთქვათ ორთაჭალის აწ უკვე გაეერანებულ სამ აუზზე, რომლებიც, აგერ უკვე ათი წელია, უმოქმედოდაა. ავარიულ მდგომარეობაშია პოლიტექნიკური უნივერსიტეტის აუზიც. უფუნქციოდ დარჩენილი აუზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით მხოლოდ "ლაგუნა ვერეს" სპორტკომპლექსი"სულდგმულობს". თუმცა, საზრუნავი არც მათ აკლიათ. ზამთრის მოახლოებასთან ერთად, "ლაგუნა ვერესთვის" ყოფნა არ ყოფნის საკითხი დგება. საჭიროა მეტი ელექტროენერგია და რაც ყველაზე მთავარია, ზამთარში აუზის მომხმარებელთა რიცხვიც კლებულობს ან თითქმის არც ჰყავს. ისე კი, ამ მხრივ არც ზაფხულშია სახარბიელო მდგომარეობა. თუ ადრე თვეში 2000-2500 ბავშვი ემზადებოდა "ლაგუნა ვერეზე", დღეს ამ რიცხვმა 700-800-მდე დაიკლო. ყველაფრის თავიდათავი მოსახლეობის გაჭირვებული ყოფაა. დღეს, ფაქტობრივად, არ არსებობს საშუალო ფენა, არიან მხოლოდ გაჭირვებულები, მდიდართა მცირე ნაწილს კი ან საკუთარი ვილებში აქვთ აუზები, ან აკვაპარკებით სარგებლობენ. საქმე ის კი არაა, თუ ვინ რომელ აუზს ანიჭებს უპირატესობას, უბრალოდ, ცურვის შემსწავლელთა რაოდენობამ იკლო. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გამაჯანსაღებელი საშუალება ფუფუნებად იქცა.

"ლაგუნა ვერეზე", მისი 24-წლიანი არსებობის მანძილზე, დაახლოებით 150 ათასმა ბავშვმა ისწავლა ცურვა. წლების განმავლობაში ოლიმპიური ნაკრებების მზადების ბაზას, მთლიანობაში, 10 მილიონი დამსწრე ჰყოლია. საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ გოიაშვილის თქმით, დღეს აუზის მესვეურები მომხმარებელზე ოცნებობენ. გაჭირვების გამო, დაიკარგა ფიზიკური აღზრდის, ჯანსაღი ცხოვრების სტილის სურვილი.

"რამდენიმე მომსვლელით აუზს ვერ შეინახავ, - ამბობს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი, - აუზი არ უნდა იყოს ფუფუნების საგანი. აქ უნდა იზრდებოდეს ჯანსაღი თაობა. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, ბევრი ამას ვერ ახერხებს. უნდა იყოს დაწესებული რალაც შეღავათები, რომელიც ბავშვებს, ახალგაზრდებს აუზზე სიარულის საშუალებას მისცემს. დღევანდელი ყოფიდან გამომდინარე, ცხადია,ბევრისთვის სააბონენტო გადასახადი ძვირია, მაგრამ რა ვქნათ, უამრავი გადასახადი გვაქვს - დენი, გაზი, წყალი... საზღვარგარეთ კიდევ უფრო ძვირია, მაგრამ ხარჯების ამოღება მთლიანად მოსახლეობას არ აწევს ტვირთად. საფასურის თითქმის 80 პროცენტს მუნიციპალიტეტი იხდის.

როდესაც ამბობენ, ფედერაციებმა ფული თავად იშოვონო - სიმართლე გითხრათ, ამ სიტყვების შინაარსი არ მესმის. რას ჰქვია, თავად ვიშოვოთ ფული. ეს ცოტაა, რესპუბლიკისა და საქალაქო ჩეპიონატებს უსასყიდლოდ რომ ვაწყობთ?!"

ფორმულა 1

ფორმულა 1-ის ჰიტ-პარადი

საუკეთესო პილოტი

მიხაელ შუმახერი - რა ძნელი მისახვედრია, რომ მიხაელ შუმახერი წლის საუკეთესო პილოტი გახდებოდა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს და ყველა შესაძლო რეკორდის ავტორს "ფერარის" წლევანდელ წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის.

დევიდ კულტჰარდი - შოტლანდიელმა, რომელმაც სეზონის დასაწყისში საქვეყნოდ განაცხადა, შუმახერს ჩემპიონის ტიტულში შევეცილებიო, მხოლოდ მეხუთემ დაასრულა ჩემპიონატი. ამაში, კულტჰარდზე მეტად, "მაკლარენს" მიუძღვის ბრალი, რადგან პილოტი კარგი მანქანით ვერ უზრუნველყო. ყველაფრის მიუხედავად, შოტლანდიელის ანგარიშზეა მონაკოს გრან-პრი და მანქანის "მოსარჯულებლად" გაწეული უდიდესი სამუშაო.

რუბენს ბარიკელო - ბრაზილიელმა წლეულს ოთხი რბოლა მოიგო, მაშინ როცა, მთელი კარიერის მანძილზე, მხოლოდ ერთი რბოლა ჰქონდა მოგებული. მისი ასეთი წარმატების მთავარი სულისჩამდგმელი მიხაელ შუმახერი იყო.

საუკეთესო ახალბედა

მარკ უებერი - "მინარდის" ავსტრალიელი პილოტი სეზონის აღმოჩენად იქცა. სწრაფმა და ნიჭიერმა უებერმა, შვიდწლიანი პაუზის შემდეგ, "მინარდის" ქულები მოუტანა. ეს მან სამშობლოში - ავსტრალიის გრან-პრიზე შეძლო. თუმცა, ეს იყო და ეს. მეტი ველარაფერი მოახერხა, მაგრამ ამაში ბრალი მიუძღვის არა მას, არამედ საჯინიბოს ხელმძღვანელობას, რომელმაც მანქანა სათანადო ძრავით ვერ აღჭურვა.

ფელიპე მასა - ახალგაზრდა ბრაზილიელმა "ზაუბერს" წლევანდელ სეზონში ოთხი ქულა მოუტანა, მაგრამ გამოუცდელობამ და მანქანის შესაძლებლობების არცოდნამ მას მეტის საშუალება არ მისცა.

ტაკუმა სატო - იაპონელის დამსახურებაა, რომ "ჯორდანმა" კონსტრუქტორთა დავაში მეექვსე ადგილი დაიკავა. სატო მთელი სეზონის განმავლობაში ამტვრევდა მანქანებს, მაგრამ ბოლო რბოლაში გუნდს 2 ქულა და მეექვსე ადგილი მოუტანა.

წლის იმედგაცრუება

"მაკლარენი" - ერთადერთი გამარჯვება სეზონში ინგლისური საჯინიბოს კონკურენტუუნარობაზე მიუთითებს. სეზონის დაწყების წინ გუნდის ხელმძღვანელები თამამად აცხადებდნენ, რომ "ფერარის" არაფერს დაუთმობდნენ, მაგრამ მათ სიტყვებს ახდენა არ ეწერა.

ხუან პაბლო მონტოია - კვალიფიკაციებზე საწყისი პოზიციის მომგებმა კოლუმბიელმა ვერც ერთი რბოლა ვერ მოიგო. ამაში, მანქანის გარდა, თავად პილოტსაც მიუძღვის ბრალი. ტემპერამენტი და სულსწრაფობა საშუალებას არ აძლევდა, ვითარება სწორად შეეფასებინა და საჭირო გადაწყვეტილებები მიეღო.

"ეროუზი" - გულშემატკივართა და სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა სამწუხაროდ, ტომ უილკინშოუს გუნდმა სეზონი ვერ დაასრულა. ფინანსურმა პრობლემებმა საჯინიბოს ხელმძღვანელი აიძულა, სასამართლოში ირბინოს, რათა მომავალ წელს ასპარეზობის უფლება მიიღოს.

საუკეთესო რბოლა

საფრანგეთის გრან-პრი - კიმი რაიკონენმა და დევიდ კულტჰარდმა "მაკლარენს" სეზონში ერთადერთი დუბლი მოუტანეს. რაიკონენი, რომელსაც მთელი რბოლა შესანიშნავად მიჰყავდა, ფინიშზე, მოსახვევში შეცდა. დევიდ კულტჰარდმა კი ბოქსებიდან გამოსვლისას თეთრი ხაზი გადაკვეთა. შედეგად მას და რაიკონენს მეორე-მესამე ადგილები ერგოთ, შუმახერი კი მეხუთედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

უარესი რბოლა

ავსტრიის გრან-პრი - ეს რბოლა დიდხანს ემახსოვრებათ გულშემატკივრებს. რუბენს ბარიკელომ, გუნდის ხელმძღვანელობის მითითებით, პირველობა დაუთმო მიხაელ შუმახერს, რომელმაც შემდგომ თავისი პრიზი ბრაზილიელს გადასცა.

ფეხბურთი

ფარერების გავლით - ევროპის ჩემპიონატზე

საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა ფეხბურთში არათუ ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა, არამედ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და გაასწრო ბელგიის ნაკრებს, რომელთანაც სასტარტო მატჩში დამარცხდა.

მიხეილ აბაიშვილი

საქართველო 2:0 (0:0) ფარერები

საქართველო: *ნაფეტვარიძე, კაშია, იმედაშვილი, ლ. ჭელიძე, ექონია, მჭედლიძე (გრიგორიევი 45`), დარსანია (კაჭარავა 74`), ელიავა (წილოსანი 85`), ბურნაძე, გ. ჭელიძე, მოდებაძე.*

ფარერები: *ნილსენი, ჯურფოქსი, კრისტიანსენი, ნოლსო, ტორლეიფსონი (ელიასენი 77`), ს. სამუელსენი, იესპერსენი, პეტერსენი, იორგენსენი (მიდჯორდი 82`), ჰანსენი, სკორალდი (ჰ. სამუელსენი 58`)*

გოლები: *1:0 მოდებაძე (59`), 2:0 გრიგორიევი (83`).*

გაფრთხილება: *ტორლეიფსონი*

გაძევება: *ნოლსო (85`)*

მსაჯი: *საიმონ ჯონსი (უელსი).*

ფარერის კუნძულების გუნდი წინდაწინ აშკარა აუტსაიდერად იყო შერაცხული, რაც ტურნირმაც დაადასტურა. მან სამივე შეხვედრა წააგო, საერთო ჯამში საკუთარ კარში 10 გოლი მიიღო, თვითონ კი ერთიც ვერ გაიტანა. ასეთი წარუმატებლობის მიზეზს საგულდაგულო ჩხრეკა ნამდვილად არ სჭირდება. ამ ერთი ბეწო სახელმწიფოს მოსახლეობა სულ 45 ათასია. საოცარია, რომ ამ პატარა ქვეყანამ ცხრამეტწლამდელთა ნაკრების შექმნა და ტურნირზე გამოგზავნა.

საქართველოს ნაკრებს ასეთ გუნდთან გამარჯვება სახელს და ავტორიტეტს ნამდვილად ვერ შემატებს, თუმცა, შემდეგ ეტაპზე გასასვლელი სამი ქულა ნამდვილად მოუტანა. ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებულნი აღმოჩნდნენ და მოედანზე საბრძოლველად გამოვიდნენ, თორემ, მეტოქის ძალის შეუფასებლობის გამო, ძლიერი და ტიტულოვანი გუნდებიც გაწბილებულან.

არც ის არის დასამალი, რომ ჩვენმა გუნდმა ამ მატჩშიც საკმაო შეცდომები დაუშვა. ყოველ შემთხვევაში, პირველ ტაიმში მასპინძლები უნიათოდ უტევდნენ მეტოქეს, რომელიც კონტრთამაშზე არც ფიქრობდა და მთელი ყურადღება დაცვაზე ჰქონდა გადატანილი. კორღალიძის შეგირდებმა პირველ ორმოცდახუთ წუთში სულ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, ბურთი, ორჯერ მაინც, უნდა აღმოჩენილიყო სტუმართა კარში. დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ივარგა წინა, უკრაინის ნაკრებთან მატჩის გმირმა გიორგი ჭელიძემ.

ეტყობა, შესვენებებს კარგად იყენებს ოთარ კორღალიძე. ამ ექვს დღეში საქართველოს ნაკრების მიერ ჩატარებულ სამივე მატჩში გუნდმა მეორე ტაიმში გაცილებით შედეგიანი, აგრესიული და გამართული ფეხბურთი აჩვენა, ვიდრე პირველში. ამჯერადაც, შეხვედრის მეორე ნახევრის პირველივე წუთებიდან, მასპინძლებმა "დაალაგეს" თამაში და მათი შეტევები ინტენსიური და გაცილებით სახიფათო გახდა. ასეთ დაწოლას ფარერელებმა დიდხანს ვერ გაუძლეს - 63-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა. მეტოქის საჯარიმოში იმედაშვილის ჩაწოდებულ ბურთს მოდებაძემ თავი დაუხვედრა და, როგორც უკრაინასთან მატჩში, ამჯერადაც დააწინაურა თავისი გუნდი. შეხვედრის მიწურულს გრიგორიევმაც გამოიჩინა თავი.

საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა, თუმცა, საგზურებისა და ჯგუფში ადგილების განაწილების ბედი სულ სხვა თამაშში წყდებოდა. ეროვნულ სტადიონზე ბელგიისა და უკრაინის ნაკრები გუნდები თამაშობდნენ. ნათელი იყო, რომ საქართველო ფარერებს დაამარცხებდა, ხოლო თუ უკრაინის ცხრამეტწლამდელები ბელგიელებს დაამარცხებდნენ, ჩვენც, ბელგიაც და უკრაინაც ქულათა თანაბარ რაოდენობას (6-6) დავაგროვებდით. დებულების თანახმად, ასეთ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ბურთების შეფარდებას, ოღონდ, აუტსაიდერთან - ფარერებთან გატანილი ბურთები მხედველობაში არ მიიღებოდა. უკრაინამ ბელგია კი დაამარცხა, მაგრამ ანგარიშით 2:1 და, შედეგად, ფარერებთან გატანილი 6 გოლის გაუთვალისწინებლად, ბურთების შეფარდება 2-3 გაუხდა. ბელგიელების იგივე მაჩვენებელი 3-3-ია, ხოლო 2-1 საქართველოს ნაკრების, რითაც ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. ვულოცავთ ჩვენს გუნდს და მის მთავარ მწვრთნელს, ოთარ კორღალიძეს, ამ წარმატებას.

მოდებაძე მეტოქის მცველთა გარემოცვაში

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მატჩის შემდეგ

ოთარ კორღალიძე: *"მოედანზე მოსაგებად გამოვედით. პირველივე ტაიმში გამოჩნდა, რომ მეტოქე ჩვენზე გაცილებით სუსტი იყო და დაგეგმილ სამ ქულას მოვიპოვებდით. მართალია, პირველ ორმოცდახუთ წუთში გოლი ვერ გავიტანეთ და უამრავი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ, დამეთანხმებით, ეს მხოლოდ დროის ამბავი იყო. მეორე ტაიმში, გოლებთან ერთად, დაგეგმილი გამარჯვებაც მივითვალეთ.*

მართალია, სამივე თამაშში ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ გუნდი სულ ორი თვის წინ შეიქმნა და მთავარ მწვრთნელად მეც ორი თვის წინ დავინიშნე. ასეთ მოკლე დროში კარგად შეთამაშებული და მონოლითური გუნდის შექმნა კი ძალიან ძნელია. რაც მთავარია, ქვეჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოვიპოვეთ. საკმარისი დრო გვაქვს იმისთვის, რომ ხარვეზები აღმოვფხვრათ და მომდევნო შესარჩევ ეტაპს უკეთ მომზადებულები შევხვდეთ."

მომდევნო შესარჩევი ეტაპი, რომელიც კვლავ ოთხგუნდიანი ჯგუფური პრინციპით მოეწყობა, მომავალი წლის აპრილისთვის არის დაგეგმილი. ამ ეტაპზე ევროპის 28 გუნდი შვიდ ქვეჯგუფში დანაწილდება. ამჯერად მომდევნო - ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდები იასპარეზებენ.

გერჰარდ აიგნერი: "ეშმაკმა დალახვროს! გამოიჩინეთ სოლიდარობა!"

*გთავაზობთ გაზეთ "24 საათის" სპორტული რედაქციის ოფიციალური პარტნიორის, გერმანული სპორტული საინფორმაციო სააგენტო "Sport Informations Dienst"-ის (sid) კორესპონდენტის **რაინერ ქალბის** ინტერვიუს UEFA-ს გენერალურ მდივანთან გერჰარდ აიგნერთან, რომელშიც ის ჩემპიონთა ლიგაზე, ეროვნულ ნაკრებ გუნდებსა და "გაზულუქებულ" ევროპელ ვარსკვლავებზე საუბრობს.*

გერჰარდ აიგნერი

REUTERS

- ჩემპიონთა ლიგამ გაამართლა, ყველა კმაყოფილია, მაგრამ UEFA-ს თასი ნამდვილად საჭიროებს რეფორმებს. რა სახის ცვლილებებს უნდა ველოდოთ?

- თავად კლუბები UEFA-ს თასზეც ჯგუფური ეტაპის შემოღებას უჭერენ მხარს. მაგრამ საფეხბურთო ბაზარი კრიზისშია. ტელეკომპანიებს აღარ შეუძლიათ, ბევრი მატჩის ტრანსლაცია მოაწყონ. ჩემპიონთა ლიგაში ჩავატარეთ რეფორმა, რის შედეგადაც ტურნირი ოთხი ტურით შევამოკლეთ. UEFA-ს თასზე ოლიმპიური სისტემის მოხსნას არ ვაპირებთ, მაგრამ სერიოზულად გვაქვს გადაწყვეტილი, მატჩები გავმართოთ არა ხუთშაბათს, არამედ სამშაბათს და ოთხშაბათს, როცა ჩემპიონთა ლიგაში შესვენებაა.

- UEFA აპირებს კლუბების ლიცენზიების შემოღებას, რაც, პირველ ყოვლისა, ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდების ფინანსური მზადყოფნის გადამოწმებას მოემსახურება. ავიღოთ მადრიდის "რეალი". ხომ წარმოუდგენელია, რომ ეს კლუბი ფინანსური პრობლემების გამო ლიგიდან გარიცხოთ. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ლიცენზირების შემოღებით საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრას აპირებთ?

- იმედი მაქვს, რომ "რეალს" და სხვა დანარჩენ კლუბებს, ლიცენზირებასთან დაკავშირებით, პრობლემები არ შეექმნებათ, მაგრამ მინდა, თქვენი ეჭვებიც გავაქარწყლო. ამისთვის საკმარისია, გადახედოთ ისტორიას და მიხვდებით, რომ UEFA არავისთვის უშვებს გამონაკლისს. "ეიზელის" ტრაგედიის შემდეგ ინგლისური კლუბები 5 წლით ჩამოვაშორეთ ევროპულ თასებს. მას შემდეგ, რაც ქრთამის მიცემის ფაქტი დადასტურდა, ტიტული ჩამოერთვა მარსელის "ოლიმპიკს". ერთი წლით დაისაჯა "მილანიც", იმის გამო, რომ მარსელში, მათი მხრიდან, მატჩის ჩაშლის პროვოცირებას ჰქონდა ადგილი. ჩვენი სიმკაცრე ჩვენი სიძლიერეა! სწორედ ამის გამო ვიმსახურებთ პატარა კლუბების ნდობას.

- დიდი კლუბების ხელმძღვანელები, მათ შორის, "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც-რუმენიგე ჩივიან, რომ ეროვნული ნაკრები გუნდები, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატისთვის საკვალიფიკაციო, "ყოვლად უინტერესო" მატჩებს მთელი წლის განმავლობაში ატარებენ. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ იძულებულნი არიან, ფეხბურთელები ამ მატჩებში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე დღით გუნდიდან გაუშვან. კლუბები წინასწარი საკვალიფიკაციო ეტაპის შემოღებას გირჩევენ, ისეთივე სახის, როგორიც ჩემპიონთა ლიგას უძღვის წინ. ფიქრობს თუ არა UEFA რაიმე ცვლილებებზე?

- უნდა გითხრათ, რომ აქ უხეშ შეცდომასთან გვაქვს საქმე: ჩემპიონთა ლიგა, თავისი 32 გუნდით, ფინალური ეტაპია და მის დაწყებას სამ ეტაპად დაყოფილი 6-მატჩიანი საკვალიფიკაციო ეტაპი უძღვის წინ. ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 2004 წელს პორტუგალიაში გაიმართება, 16 გუნდი იასპარეზებს. ვერაფრით ჩავატარებ შესარჩევ ტურნირს 8 გუნდს შორის იმისთვის, რომ ტურნირი საინტერესო საყურებელი იყოს. მეორე: სრულიად ვეთანხმები ეგიდიუს ბრაუნს, UEFA-ს საპატიო წევრს, რომელიც მუდამ იმაზე საუბრობს, რომ პატარა საფეხბურთო ქვეყნებს იმედის ნაპერწკალი სჭირდებათ. მესამე: სულ არ მაინტერესებს ის, რომ გაზულუქებულ ვარსკვლავებს საკუთარი ქვეყნების ნაკრების შემადგენლობაში უინტერესო მატჩების თამაში უწევთ და ამით იღლებიან. მათ არ უნდა დაივიწყონ რეალობა: სჯობს, ეს მატჩები შედარებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების შესასწავლად გამოიყენონ. მეოთხე: ძლიერი ევროპული ქვეყნების წინააღმდეგ თამაში სუსტი გუნდებისთვის საკუთარი ძალების შეფასების საშუალებაა. ეს მატჩები დიდად უწყობს ხელს პატარა საფეხბურთო ქვეყნების შემდგომ განვითარების. და კიდევ ერთი: ევროპის წამყვანი კლუბების ხელმძღვანელებმა გაიხსენონ, თუ როგორ უჭირთ პატარა ქვეყნებს ნაკრები გუნდების შევსება. ეშმაკმა დალახვროს! გამოიჩინეთ სოლიდარობა!

- ესე იგი, არაფერი შეიცვლება?

- ცვლილებები, ალბათ, მაინც იქნება. პატარა ქვეყნები ამხანაგური მატჩებისთვის მეტოქეებს თითქმის ველარ შოულობენ, იმიტომ რომ ყველაფერი "ძლიერთა" კარნახით მიმდინარეობს. ვფიქრობთ, მომავალში საკვალიფიკაციო ჯგუფების მონაწილე გუნდების რაოდენობა გავზარდოთ. ამით ისინი მეტ მატჩს ჩაატარებენ და ამხანაგური თამაშების დანაკლისის პრობლემაც მოგვარდება. გვინდა, 5-გუნდიანი ჯგუფები 7-8 გუნდამდე გავზარდოთ, პირველი ორი კი ავტომატურად მიიღებს ჩემპიონატის საგზურს. ამ შემთხვევაში ძლიერ გუნდებსაც ეყოლებათ შესაბამისად ძლიერი მეტოქეები. ესეც, ალბათ, გამოსავალია.

ჯანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია

აცხადებს ბავშვების მიღებას
6 წლიდან 13 წლის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13 სთ-დან 15 სთ-მდე.

მისამართი: საბურთალო, იოსებიძის ქუჩა №49, საქართველოს უნივერსიტეტი "VITA"-ს შენობაში.

ტელ: 26 25 26; 95 87 56, მობ. 8(77) 49 22 02

ბინები

იყიდება

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება თანამედროვე დიზაინით აშენებული კერძო 2 სართულიანი სახლი ავლაბარში, სამების ეკლესიასთან.
ტელ: 98 40 13, 899 516925

იყიდება 2,5-ოთახიანი მოსკოვის პროექტის ბინა სარდაფით, ხეხილიანი ბაღით, ავტოფარეხის ადგილით, ბ/აირით. 6000-ად. 64 28 25

ვიყიდი მხატვრის სახელოსნოს.
ტელ: 70-69-65
899 970234

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.
ფასი: 14000.
ტელ: 893 31-17-72

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვაზისუბანში. 75 75 87

იყიდება ორსართულიანი აგარაკი ცხვარიჭამიაში, ხუთოთახიანი, გარემონტებული, 1200 კვ.მ. შემოღობი ლი მიწის ნაკვეთით. 58 09 34

იყიდება 1-ოთახიანი მიცკევიჩზე. 22 86 33

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება ორთაჭალაში 2-სართულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ.) სარდაფით, დიდი ხეხილიანი ბაღით. 75 53 55

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

ბინები

ქირა, გირაო

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ქირავდება გარემონტებული 4-ოთახიანი ბინა მეტრო "დელისთან". 39 00 05

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუდაპეშტის № 10-ში. მე-5 სართული. ავეჯით, რემონტით. ფასი 170 $. 8(99) 56 27 54

კომერციული ფართი

სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

ქირავდება ოფისი კეკელიძის № 100. 39 96 71, 8(99) 51 98 15

ქირავდება!

კომერციული ფართი ვერაზე

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)

ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007

მანქანები

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება LANCIA DEDRA INTEGRALE. 1993 წ. ძრავი 2.0 ტურბო (11 ლ 100 კმ), ტყავის სალონი, ელ.პაკეტი, ელ.ლუქი, კლიმატ-კონტროლი, ABS, ჰიდრავლიკა, 4x4 კვადრო, აგვისტოში ჩამოყვანილი, განბაჟებული. ფასი 4000 $.
8(77) 44 13 40

იყიდება "ვექტრა" 1990 წლის, განბაჟებული, ჰიდრავლიკით, ABC ლუკით, საბარგულით. 2600. 33 54 51 მიშა

იყიდება თეთრი BMW-520 1991 წლის, ახალი ჩამოყვანილი, განუბაჟებელი, სრული ელექტროპაკეტით. 95-34-27, 8(99) 10-49-14

სწავლება

მოვამზადებ მოსწავლეებს ინგლისურ ენაში. 32 50 71 თამუნა

შევასწავლი და მოვამზადებ მსურველებს ფრანგულ ენაში ბინაზე მისვლით. 32 50 71 ნატო

ვამზადებ I-VI კლასის მოსწავლეებს ყველა საგანში. ქართულსა და ინგლისურში მაღალ კლასებშიც. 34 32 78

შევასწავლი ქართულ ცეკვებს ნებისმიერი ასაკის მსურველს. 53 00 38, 8(77) 73 33 22

ვასწავლი სასაუბრო რუსულს მოკლე დროში. 93 13 41

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

სხვადასხვა

მოვემსახურები ოჯახს საკუთარი ავტომანქანა "აუდით". 93 57 03

მზიდი ფერმები 18X12 შენობისათვის, DKBP ქვაბები, მაღალი ძაბვის კაბელი. 8(77) 41 99 90

იყიდება 710-ის სამეული (ტახტი, სავარძლები, მაგიდა). საუკეთესო მდგომარეობაში. ს/ფასი 1200 $. 23 57 39, 8(99) 16 80 06

ფირმა დაგიმზადებთ ხის კარ-ფანჯარას, შიდა კიბეს და კარადებს შეღავათიან ფასებში. 22 82 26, 8(99) 51 28 44

იყიდება რუმინული ავეჯი: სასადილოები, საძინებლები, ტყავის სამეულები და როიალები.
ტელ: 95-77-88, 877 764758

იყიდება ხის დამამუშავებელი დაზგები: ფუგანი - 500-ად, ურიკიანი ფარგალი 600-ად, საბურღი დაზგა - 400-ად, ორხერხა - 500-ად. 22 82 26, 8(99) 51 28 44

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ნებისმიერი სირთულის ტექსტს შეღავათიანად. 75 53 55

დაგიმზადებთ უცხოური ავტომობილის ყველა სახის, გვერდითა, მოძრავ და უძრავ მინებს. 8(99) 24 40 32

საშუამავლო ფირმა "კახი-98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს დაბალ პროცენტში. 23 70 91, 8(77) 71 05 90

სამრეცხაო "VIP"-ი ინდივიდუალურად გაგირეცხავთ ყველა სახის სარეცხს. სურვილისამებრ მოგემსახურებით ბინაზე. თამარაშვილის 13 ა. 23 25 90

ვასრულებ კლასიკურ - ქართულ სტილში ნებისმიერი ინტერიერის დეკორატიულ-ფერწერულ მოხატვას. 79 60 84

განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

☐ **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.

☐ **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

15 ოქტომბრიდან ტელეფონით
მიღებული განცხადების
(12 სიტყვა) ფასი განისაზღვრება
1 ლარით

98-86-43, 53-76-43

24 საათი
27.10.02 N-147

აფიშა

საკონცერტო დარბაზები

- **მარჯანიშვილის თეატრი**
შოუ-კონცერტი "შემოდგომის არდადაგები"
დას: 16:00 სთ; ფასი 7-15 ლარი

თეატრები

- **რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.
- **ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ლუდვიგ მინკუსი "ბაიდერა", ბალეტი სამ მოქმედებად
დირიჟორი რევაზ ტაკიძე
დას: 12:00 სთ
- **რუსთაველის თეატრი**
ბერტოლდ ბრეხტის "კავკასიური ცარცის წრე", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00, ფასი 2-20 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
"მეტამორფოზა", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **თავისუფალი თეატრი**
"სისხლიანი ქორწილი", რეჟ. გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი
- **აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი**
მერაბ კოსტავას სახელობის დრამატული თეატრი
არტურ მილერის "მძიმე განსაცდელი", რეჟ. დიმიტრი ღვთისიაშვილი
დას: 18:00 სთ ფასი 3 ლარი, სტუდენტებისათვის 1 ლარი
- **ახმეტელის თეატრი**
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3
- **გრიბოედოვის თეატრი**
"ტერეზა რაკენი", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 18:00, ფასი 1-3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

- **„ქარვასლა„**
შვეიცარიელი ფოტოგრაფის ანდრიას ჰაგენბახის ფოტოგამოფენა
მიშა იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გელა სამსონიძის გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა
- **TMS**
ია გიგოშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
სამხატვრო აკადემიის პედაგოგთა ნამუშევრების გამოფენა
"ქართული ფერწერა" თანამედროვე მხატვრები
- **ეროვნული გალერეა**
"საშემოდგომო გამოფენა"
გახსნა 14:00 სთ
- **გალერეა „ვერნისაჟი„**
ვლადიმერ გრიცაევის ნამუშევრების გამოფენა
- **ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა**
საერთაშორისო ფესტივალში გამარჯვებული ბავშვების ნამუშევრების გამოფენა
სალომე გომელაურის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

კინოთეატრები

- **„ამირანი„**
"ოსტინ პაუერსი-3"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ
"სკუბი დუ"
დას: 12:00; 16:00 სთ
- **„რუსთაველი„**
"პატარა სტიუარტი"
დას: 13:00; 15:00; 17:00 სთ
"სამი იქსი"
დას: 19:00 სთ
"ლამაზმანი", რეჟ. კამერონ დიასი
დას: 21:30 სთ

სკანდინავიური კროსვორდი



პროფესიული განვითარების სტუდია და მოდელების სააგენტო
"იმიჯ-ცენტრი"
Image CENTRE

ანი გეგუჩაძე

ფოტომოდელი "დავით აღმაშენებელს" კითხულობს

დალი კუპრავა

არც ისე დიდი ხანია, რაც "24 საათში" საზოგადოების ყურადღებას ფოტოკონკურსი იპყრობს. გამოხმაურება დიდია და, რაც დრო გადის, შემფასებელ მკითხველთა ჟიური უფრო მრავალრიცხოვანი ხდება.

კვირის განმავლობაში რამდენიმე თანამშრომლისგან მოვისმინე, "პირველი" გოგონა ყველაზე მეტად მომწონსო. მეც ანი გეგუჩაძე მომწონდა. კვირის ბოლოს კი გაირკვა, რომ ანიმ გაიმარჯვა.

ანი გეგუჩაძე 16 წლისაა და თბილისის 22-ე საშუალო სკოლის მეათე კლასში სწავლობს.

გუშინ ანი მარჯანიშვილის თეატრში, "იმიჯ ცენტრის" საშემოდგომო შოუში, ამორძალს ასახიერებდა. ანტრაქტის დროს ვესაუბრეთ. უფრო ლამაზიც კი აღმოჩნდა, ვიდრე ფოტოზე ჩანდა და კიდევ უფრო ლამაზი ღიმილი აქვს.

უხაროდა კონკურსის შედეგი.

- ფოტომოდელი ლამაზი უნდა იყოს?

ჩემი აზრით, კი, მაგრამ "ლამაზიც" სხვადასხვაგვარია.

- გინდოდა მოდელობა?

ძალიან. ალბათ, ყველა გოგოს უნდა. მე ასე მგონია.

- ელოდი ასეთ შედეგს?

რა თქმა უნდა. ვინც უნდა ყოფილიყო გამარჯვებული, ყველა ასე გიპასუხებდათ.

ანი პოპულარული "ინტროს" კლიპში მონაწილეობს, მაგრამ, კლიპის სათაურისგან განსხვავებით ("ვერ დაგეგმავ დღეს"), მას დღის დაგეგმვა შეუძლია: სწავლობს სკოლაში, მეცადინეობს "იმიჯ ცენტრში", უსმენს მუსიკას, ერთობა მეგობრებთან და, "რა თქმა უნდა, ვკითხულობო", - ისეთი ტონით მითხრა, მომერიდა კიდეც, ასეთი რამ როგორ ვკითხე-მეთქი.

- მოდელი რომ მაღალი უნდა იყოს?

რა თქმა უნდა, 170 სმ-ზე დაბალი არ უნდა იყოს, მაგრამ მე სწორედ ფოტომოდელობა ავირჩიე, სადაც ეს შესაძლებელია.

- იცი, რამდენი გოგონაა, ვისაც მოდელობა უნდა?.. როგორ მოიქცნენ?

აუცილებლად მოვიდნენ "იმიჯ ცენტრში".

ისევ იღიმება. მართლაც, ძალიან ლამაზად. და ამატებს: "საერთოდ, როცა რამე გინდა, აუცილებლად უნდა ეცადო".

ანი წლეულს სკოლას ამთავრებს. შესაძლოა, ინგლისურის სწავლა გააგრძელოს. არც სხვა არჩევანია გამორიცხული. ფოტომოდელობას კი აუცილებლად გააგრძელებს.

ახლა შინ გადაშლილი წიგნი - კონსტანტინე გამსახურდიას "დავით აღმაშენებელი" ელოდება.

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. [illegible]

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე

[illegible] მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" [illegible]

TV პროგრამა 27 ოქტომბერი

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "ნიკიტა"
11.50 ველური ბუნება
12.50 მხ.ფილმი
14.35 სიმფსონები
15.05 მხ. ფილმი
17.10 იქს მუტანტები
18.00, 00.40 კურიერი
18.20 მხ. ფილმი
20.00 სუფთა ინგლისური მკვლელობა
21.00 60 წუთი
22.25 ჩვენი ეზო
22.40 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "ვანილის ცა" 8 77 45-79-25 ტომ კრუზი, პენელოპა კრუზი, "ჰარტის ომი" 8 77 45-79-26 ბრიუს უილისი, კოლინ ფერელი, "დუეტები" 8 77 45-79-27 გვინეტ პელტროუ, მარია ბელოუ
00.50 მხ.ფ. "მაკულატურა". მთ. როლებში: ჯონ ტრავოლტა, ბრიუს უილისი, ტიმ როტი
02.30 კლასიკა

პირველი არხი

08.00 "მოამბე"
08.15 მხ. ფილმი "ბავშვებისათვის 16 წლამდე"
10.00 დილის პაემანი
11.05 "დიდი დასვენება"
11.35 "მოგზაურობა სასიტყვეთში"
12.05 "სპა"
12.35 "პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 "ღამის ჯაზი"
14.25 "არათბილისური ამბები"
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 სატ. დოკ. ფილმი "თბილისური მელოდიები"
15.50 მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი "ძველი ვოდევილები"
16.45 სატელევიზიო კინოდარბაზი, "სადღეგრძელო"
17.25 "საკვირაო გამოფენა"
17.40 "ტელეზღაპარი"
18.00 "ტაიმ-აუტი"
18.20 "ფრაგმენტები სურათისათვის"
18.55 "ოქროს ვექტორი"
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.00 "ტაიმ-აუტი"
20.55 "ამბობენ"
21.25 "მუს. ოქტაგონი"
22.10 "მედეა ჩახავას საიუბილეო საღამო"
23.20 "ჩემი მშვენიერი ლედი"
23.40 ქართული მხ. ფილმი "ზებერი მეზურნეები"
01.05 "ტაიმ-აუტი"
01.15 მხ. ფილმი "ცხოველური ბუნება"

პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.30 "მადლიანი ცნობა"
09.00 "მუსიკალური ათეული". განმეორებით
10.00 "ტოროლა"
13.00 "ვიდეო-რადიო". განმეორებით
14.00 "კომედია" მხ.ფ. "ჯაშუშთა შვილები"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ჩვენ ჯარისკაცები ვიყავით".
01.30 ღამურა "ვერტიკალური ზღვარი".
03.10 ნონ-სტოპი

მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 დიზაინი
19.50 შეხვედრები ფიქრის გორაზე
20.30 საქართველოს მატიანე
20.55 ლიტ. თეატრი
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "ნუ გააღვიძებთ მძინარე პოლიციელს"
00.40 ჰიტ-პარადი

ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00, 21.00 "ვესტი"
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
17.20 საეკლესიო კალენდარი
17.35 საუბრები ბიბლიაზე
19.00 დოკ. ფილმი
20.00 იქ სადაც სიყვარულია
20.20 თავისუფალი მიკროფონი
20.40 მოგზაურობა ბავშვობაში
22.00 "იდენ-ტვ"
22.30 "ევროპა და ევროპელები"
23.30 მსოფლიო სპორტი
00.30 მხ. ფილმი "დაიჭირეთ გოტი"

იბერია

08.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "ატლანტიკ სითი"
10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა
10.20 მხ.ფ. "გართობის მეფე".
20.00 მხ.ფ. "ფარვანა"
22.15 მხ.ფ. "მეომარი"
00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ჩემი მშვენიერი ლედი"
15.00 მხ. ფილმი "უკიდურესი ზომები"
17.00 მხ. ფილმი "მისისიპის აჩრდილები"
19.00 ინდ. მხ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი "ეშმაკისეული"
00.20 მხ. ფილმი "უცხონი"

მეცხრე არხი

09.00 "დღის ამბები"
09.20, 14.20 მუსიკა
09.30 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
10.00, 15.00 "დილა"
11.00 "ევროპის სტადიონებზე"
11.30 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
12.00 საუბრები სტუდიაში
12.50 მხ. ფილმი "ლანცელოტი - დროის მცველი"
14.30 დოკ. ფილმი "მიტროფანე ლაღიძე"
16.00 მხ. ფილმი "მერლანი - პირველი ჯადოქარი"
17.30 ქართ. მხ. ფილმი "იავნანამ რა ჰქმნა"
19.00 მაცაცერა
19.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
19.30 "მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 დოკ. ფილმი "დაკარგული ქვეყანა"
20.20 ფილმი-ბალეტი. "ბალეტი სიცოცხლისათვის" ქორეოგრაფი მორის ბეჟარი
22.00 სანახაობა "ყოჩაღები" - "პირველი ევროპიელის ძვალი"
22.15 მხ. ფილმი "ტარაკანა".
23.450 "იაკობ გოგებაშვილი - ცხოვრება და მოქალაქეობა"
00.40 მხ. ფილმი "ზვავი".

აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფილმი "ზევსი და როქსანა"
11.05 "ყველანი ვართ პატარები"
11.15 Слово
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.10 კომედია "კბილების მჩიჩქნელი ჯონი"
14.00 მხატვრული ფილმი "ლეგენდა ენეოსზე"
16.10 მულტფილმი "შავი ტიტა"
17.00 ვესტერნი "ახალგაზრდა მსროლელები"
19.20 ქართული მხატვრული ფილმი "დიდედები და შვილიშვილები"
20.35 კომედია "ცხრა იარდი"
22.00, 00.00 "დღეს"
22.30 "Новости в воскресенье"
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.30 "Новости в воскресенье"
00.50 დეტექტივი "პოლიცია"
03.30 ფანტასტიკა "ასტრონავტის ცოლი"
05.15 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

17.00,19.30,01.30 ანონსი
17.05,21.50 ამინდის პროგნოზი
17.20 "ლა-ლა-ლა"
18.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
18.45 "აჩიკუდა" (შესვენებისას)
19.55 "ავტოტრეკინგი"
20.40 "კინოკლუბი" - "ერთი ყველას წინააღმდეგ".
22.00 "სახლიდან გაუსვლელად"
22.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - გერმანიის ჩემპიონატი.
23.15 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
00.25 "სახლიდან გაუსვლელად"
00.55 მელოდია
01.20 "სახლიდან გაუსვლელად"
01.55 პრესის მიმოხილვა

ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Мультфильм "Карлсон вернулся"
08.30 Утренняя звезда
09.20 Служу России!
09.45 Дисней-клуб
10.10 Дог-шоу
11.10 "Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.05 Властелин вкуса
12.50 Комедия "ЗА ДВУМЯ ЗАЙЦАМИ"
14.30 Дисней-клуб
15.15 Умницы и умники
15.40 Клуб путешественников
16.20 Телеконкурс "Мисс "Большая стирка"
17.50 Док.сериал "Живая природа"
19.00 Времена
20.10 КВН-2002. Первый полуфинал
22.30 Боевик "СМЕРЧ"
00.40 Бокс. Оскар де Ла Хойя - Фернандо Варгас
01.40 Детектив "ОТЕЛЬ "МИЛЛИОН ДОЛЛАРОВ"

РТР

07.20 х.ф."САДКО"
08.45 "Дракоша и компания"
09.10 "Русское лото"
10.00 "ТВ Бинго шоу".
10.35 ВЕСТИ-МОСКВА
11.15 "Утренняя почта"
11.50 "Городок". Дайджест
12.20 Комедия "КРЫЛЫШКО ИЛИ НОЖКА?"
14.10 "Парламентский час"
15.00 ВЕСТИ
15.20 "Вокруг света"
16.15 "Диалоги о животных"
17.10 "Моя семья"
18.05 "Аншлаг"
19.00 Комедия "КЛУБ ПЕРВЫХ ЖЕН" (США)
20.50 "В "Городке"
21.00 ВЕСТИ НЕДЕЛИ
22.10 "Специальный корреспондент"
22.35 Алла Пугачева, Игорь Крутой и Лайма Вайкуле в бенефисе Александра Розенбаума
01.10 х.ф. "ЧЕРНЫЙ ОРЕЛ" (США)
02.45 "Спорт за неделю"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.